წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი, დედოფლისაჲ

## **და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი:**

I.

იყო, მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა, კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში, ძჱ არშუშაჲსი, რამეთუ პირველ იგიცა იყო ქრისტიანე, ნაშობი მამისა და დედისა ქრისტიანეთაჲ. და ცოლად მისა იყო ასული ვარდანისი, სომეხთა სპაჲსპეტისაჲ, რომლისათჳს-ესე მივწერე თქუენდა, მამისაგან სახელით - ვარდან, - და სიყუარულით სახელი მისი - შუშანიკ, მოშიში ღმრთისაჲ, ვითარცა-იგი ვთქუთ, სიყრმითგან თჳსით.

და უკეთურებისა მის სახისა ქმრისა მისისაჲსა მარადის გულს-ეტყჳნ და ევედრებინ ყოველთავე ლოცვის-ყოფად მისთჳს. რაჲთამცა ცვალა იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუნურებისა და იქმნამცა გონიერებასა ქრისტესსა.

ხოლო ამის უბადრუკისა და სამგზის საწყალობელისა ვარსქენისი ვითარმე ვინ თქუას ყოვლად განწირულისაჲ, ვითარ-იგი განაგდო სანატრელი სასოებაჲ ქრისტესი, ანუ ვინ არა სტიროდის მას, რომელსა არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახჳლი, არცა პყრობილებაჲ ქრისტესთჳს?!

რამეთუ რაჟამს წარდგა იგი წინაშე სპარსთა მეფისა, არა თუ პატივისა მოღებისათვის, არამედ ძღუნად თავსა თჳსსა შესწირჳდა მეფისა მის მიმართ, უვარის-ყოფითა ჭეშმარიტისა ღმრთისაჲთა და თაყუანის-სცემდა ცეცხლსა, რამეთუ ყოველით კერძოვე თავი თჳსი ქრისტეჲსგან განაგდო.

ხოლო საწყალობელი ესე ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან, რაჲთამცა სათნო-ეყო მეფესა, და ესრეთ ეტყოდა, ვითარმედ: ,,რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი, იგინიცა ესრევე მოვაქცინე შენსა სჯულსა, ვითარცა-ესე მე“. ამას უქადებდა, რომელი-იგი არა აქუნდა კელთა შუშანიკისაგან. მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაჲ.

II.

და იჯმნა მეფისაგან სპარსთაჲსა პიტიახშმან. და ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქვეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა-ყო, რაჲთა აუწყოს და წინამიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი, რაჲთა მათ გამო, ვითარცა გუელი, სოფლად შევიდეს. და წარმოჰმართა საიდასპანოჲთა ცხენითა მონაჲ თჳსი. და ვითარცა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ჰრქჳან ცურტავ.

და ვითარცა მოიწია და შევიდა წინაშე შუშანიკისა, დედოფლისა ჩუენისა, კითხვაჲ ჰრქუა, ხოლო სანატრელმან შუშანიკ, ვითარცა წინაჲსწარმეტყუელმან ჰრქუა: ,,უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ, იგიცა და შენცა. უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაჲ ეგე შენი შენდავე მოიქეცინ!“. ხოლო კაცმან მან ვერ იკადრა სიტყუად მისა. ხოლო წმიდაჲ შუშანიკ აფუცებდა და ჰკითხჳდა დამტკიცებულად. ხოლო კაცმან უთხრა მართალი და ჰრქუა, ვითარმედ: ,,ვარსქენ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი“.

ვითარცა ესმა ნეტარსა შუშანიკს, დავარდა ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწარითა იტყოდა: ,,საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარ-ყო

ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი და შეერთო იგი უღმრთოთა“.

და აღდგა და დაუტევა ტაძარი თჳსი და ღმრთისმოშიშებით ეკლესიად შევიდა და თანა მიიყვანა სამნი იგი ძენი და ერთი ასული და წარადგინნა იგინი წინაშე საკურთხეველისა და ესრეთ ილოცვიდა და იტყოდა: „უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი, განათლებულნი წმიდისაგან ემბაზისა, მადლითა სულისა წმიდისაჲთა, ყოფად ერთ სამწყსო ერთისა მწყემსისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა!“

და ვითარცა მწუხრისა ჟამი აღასრულეს, სახლაკი ერთი მცირე პოვა მახლობელად ეკლესიასა და შევიდა მუნ შინა სიმწარითა სავსე და მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა.

III.

ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისა მის პიტიახშისაჲ, რომელსა სახელი ერქუა აფოც, არა მუნ იყო, არამედ კაცისა ვისამე წმიდისა ვანად მისრულ იყო კითხვად რაჲსამე სიტყჳსა. და მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანავჰყვანდი ეპისკოპოსსა მას. და მყის მოიწია ჩუენდა დიაკონი შინაჲთ და გჳთხრა ჩუენ ესე ყოველი - მოსლვაჲ პიტიახშისაჲ და საქმენი დედოფლისანი. ხოლო ჩუენ აღვივსენით მწუხარებითა და დიდითაი ტირილითა ვტიროდეთ განმწარებულნი ცოდვათ ჩუენთა წარმოჩინებისათჳს.

ხოლო მე ვიჯმენ ადრე და მივიწიე დაბასა მას, რომელსაცა იყო ნეტარი შუშანიკ. და ვითარცა ვიხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროდე მის თანავე. და ვარქვი ნეტარსა შუშანიკს: „ლუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო! ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტესსა, ნუ-უკუე მტერმან, ვითარცა სრსჳლმან, საძოვარი პოოს შენ თანა“. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „ხუცეს, და მეცა დიდსა ლუაწლსა განმზადებულ ვარ“. და მე ვარქუ მას: „ეგრჱთ არს. მჴნე იყავ, მოთმინე და სულგრძელ“. ხოლო მან მრქუა მე: „ჩემდა მარტოჲსა არიან ჭირნი ესე!“

ხოლო მე ვარქუ მას: „ჭირნი შენნი ჭირნი ჩუენნი არიან და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს. ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ, ყოველთა, ვითარცა შვილთა, გუხედევდ“.

და ვარქუ მე სანატრელსა მას: „ხუაშიადადრე, ვითარ გეგულების, მითხარ მე, რაჲთა უწყოდი და აღვწერო შრომაჲ შენი“. ხოლო მან მრქუა მე: „რასა მკითხავ ამას?“ დ მე მიუგე და ვარქუ მას: „მტკიცედ სდგაა?“ და მან მრქუა მე: „ ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსქენისათა!“ მე მიუგე და ვარქუ მას: „მწარე გონება აქუს მას, გუემასა და ტანჯუასა დიდსა შეგაგდოს შენ“. ხოლო მან მრქუა მე: „უმჯობეს არს ჩემდა კელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაჲ და წარწყმედაჲ სულისა ჩემისაჲ, რამეთუ მასმიეს მე პავლჱს მოციქულისაგან: „არა დამონებულ არს ძმაჲ, გინა დაჲ, არამედ განეყენენ“. და მე ვთქუ: „ეგრეთ არს“.

IV.

და ვიდრე ჩუენ ამას სიტყუასა შინა ვიყვენით, კაცი ერთი სპარსი მოვიდა და შევიდა იგი წინაშე ნეტარისა შუშანიკისა, და ტირილით იტყოდა: „ესევითარი სახლი მშჳდობისაჲ ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა“. ხოლო ზრახვითა იყო იგი ვარსქენისითა და ზაკუვით იტყოდა ამას და უნდა მონადირებაჲ ნეტარისა მის. ხოლო წმიდამან მან ცნა ზაკუვითი იგი ზრახვაჲ მისი და მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ.

და შემდგომად სამისა დღისა მოვიდა ვარსქენ პიტიახში. და უთხრა სპარსმან მან ფარულად და ჰრქუა: „მე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდგომილ არს შენგან. და მე გეტყჳ შენ: ნუ რას ფიცხელსა სიტყუასა ეტყჳ მას, რამეთუ დედათა ბუნებაჲ იწრო არს“.

და ხვალისა დღე, ვითარ აღდგა პიტიახში, გჳწოდა ჩუენ, ხუცესთა, და მივედით. და სიხარულით შეგჳმთხჳნა და გვრქუა ჩუენ: „აწ ნუ რას მერიდებით მე ნუცა ლა გძაგ“. და ჩუენ მიუგეთ და ვარქუთ: „წარსწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუწყმიდენ“. მაშინღა იწყო სიტყუად და თქუა: „რაჲსა ჴელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ? აწ მივედით და არქუთ, ვითარმედ შენ ჩემი ხატი დაამჴუ. და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ. და შენი ადგილი დაგიტევებიეს და სხუად წარსრულ ხარ“. ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი? და მემცა დავამჴუ! ხოლო მამამან შენმან აღჰმართნა სამარტჳლენი და ეკლესიანი აღაშჱნნა, და შენ მამისა შენისა საქმენი განრჰყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი. მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თჳსა, ხოლო შენ დევნი შემოიხუენ, მან ღმერთი ცათაჲ და ქუეყანისაჲ აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის-ეც, და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ-გყავ. და, თუ მრავალი ტანჯვაჲ მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა!“

ხოლო ჩუენ ესე ყოველი მიუთხართ პიტიახშსა. ხოლო მან განიწყო გული და იბრდღუენდა მისთჳს.

V.

მერმე მიავლინა ჯოჯიკ, ძმაჲ თჳსი, და ცოლი ჯოჯიკისი, ძმის ცოლი თჳსი, და ეპისკოპოსი სახლისა თჳსისაჲ და ჰრქუა მათ: „ესრეთ არქუთ: აღდეგ და მოვედ ადგილსა თჳსსა და ნუ ეგევითარი გონებაჲ გიპყრიეს, უკუეთუ არა, თრევით მოგითრიო!“

და ვითარ მიიწინეს და შევიდეს წინაშე დედოფლისა და მრავალსა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყოდეს მას, მაშინ წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მათ: „კაცნო ბრძენნო, თქუენ კეთილად იტყჳთ, გარნა ნუ დაგიჯერებიეს, თუმცა მე მისა ცოლადღა ვიყავ. მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ჭეშმარიტი აღიაროს, და აწ მე მაიძულებთ ამას ყოფად?! ნუ იყოფინ ესე ჩემდა! და შენ, ჯოჯიკ, არღარა ჩემი მაზლი ხარ და არცაღა მე შენი ძმისცოლი, არცა ცოლი შენი დაჲ ჩემი არს, რომელნი მის კერძო და მისთა საქმეთა ზიარ ხართ“. ჰრქუა მას ჯოჯიკ: „უწყი მე, აწ მოავლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყუანოს შენ“. ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა: „უკუეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის, რამეთუ მით სახითა იყოს განჩინებაჲ ჩემი მისგან“.

და ვითარცა ესმა ესე მისგან, ცრემლოოდეს ყოველნი და ჯოჯიკ აღდგა და ცრემლით გარე განვიდა.ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ეპისკოპოსსა: „ვითარ მეტყჳ მე დაჯერებად ჩემდა, რამეთუ მან ღმერთი უვარ-ყო?!“ ხოლო ჯოჯიკ ევედრებოდა და ეტყოდა: „დაჲ ჩუენი ხარ შენ, ნუ წარსწყმედ სახლსა ამას სადედოფლოსა“. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ: „უწყი, ვითარმედ დაჲ ვარ და ერთგან განზრდილნი, ხოლო მაგას ვერ ვჰყოფ, ვითარმცა მოსისხლეობაჲ იქმნა, და თქუენ ყოველნი თანამდებ იქმნენით“.

და ვითარცა ფრიად აურვებდეს მას, აღდგა წმიდაჲ და ნეტარი შუშანიკ და თანაწარიტანა ევანგელჱ თჳსი, და ტირილით ესრჱთ იტყოდა: „უფალო ღმერთო, შენ უწყი, ვითარმედ მე გულითად სიკუდილდ მივალ“.

ესე თქუა და წარვიდა მათ თანა, და თანაწარიტანა ევანგელჱ თჳსი და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი. და რაჟამს შევიდა იგი ტაძარსა მას, არა დაჯდა იგი თჳსსა მას გალიაკსა, არამედ სენაკსა შინა მცირესა. და აღიპყრნა ჴელნი თჳსნი ზეცად წმიდამან შუშანიკ და თქუა: „უფალო ღმერთო, არცა მღვდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალჱ. არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას. არამედ ყოველთა მე სიკუდილდ მიმითუალეს მტერსა ღმრთისასა ვარსქენს“.

VI.

და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად და ჰრქუა მსახურთა თჳსთა: „ოდეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ, ხოლო სხუასა ნუ ვინ უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად“. და რაჟამს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად პურისა ჭამაჲ, რაჲთამცა მოიყვანეს წმიდაჲ შუშანიკცა. და ვითარცა მოიწია ჟამი პურისაჲ, შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რაითამცა მასცა აჭამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაევლინეს. და ვითარცა მეტად აიძულეს და ძლით წარიყვანეს ტაძრად, ხოლო გემოჲ არარაჲსაჲ იხილა. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღჳნოჲ ჭიქითა და აიძულებდა მას, რაჲთამცა იგი ხოლო შესუა. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ და განყარა ჴელი და ჭიქაჲ იგი პირსა შეალეწა და ღჳნოჲ იგი დაითხია.

მაშინ იყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერჴითა თჳსითა დასთრგუნჳდა მას, და აღიღო ასტამი და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა, და თუალი ერთი დაუბუშტა. და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა; ვითარცა მჴეცი მძჳნვარჱ, ყიოდა და იზახდა, ვითაცა ცოფი. მაშინ შუელად აღდგა ჯოჯიკ, ძმაჲ მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის გუემა იგიცა, და თავსა მისსა მოხეთქა, და ჭირით, ვითარცა კრავი მგელსა, გამოუღო ჴელთა მისთა. და ვითარცა მკუდარი, იდვა წმიდაჲ შუშანიკ ქუეყანასა ზედა, და აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მაოჴრებელად სახელ-სდებდა მას. და უბრძანა შეკრვაჲ მისი და ბორკილთა შესხმაჲ ფერჴთა მისთაჲ.

და ვითარცა მცირედ და-რე-სცხრა გულისწყრომისაგან, მოვიდა სპარსი იგი და მჴურვალედ ევედრებოდა მას, რაჲთამცა საკრველთა მათგან განეტევა წმიდაჲ შუშანიკ. და ვითარ ფრიად ევედრებოდა, ბრძანა განტევებაჲ მისი და სენაკსა ერთსა შეყვანებაჲ და კრძალულად დაცვაჲ მისი ერთითა მსახურითა, და რაჲთა სხუაჲ არა ვინ შევიდეს ხილვად მისა, - არცა მამაკაცი, არცა დედაკაცი.

VII.

და ვითარცა ცისკარ ოდენ იყო, იკითხა და თქუა მსახურისა მიმართ მისისა, ვითარმედ: „წყლულებისა მისგან ვითარ არს?“ ხოლო მან ჰრქუა მას: „ვერ განსარინებელ არს იგი“. მაშინ თჳთ შევიდა და იხილა იგი. და დაუკჳრდა დიდძალი იგი სიმსივნჱ მისი. და ამცნო მსახურსა მას და ჰრქუა: „ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა“. და თჳთ ნადირობად წარვიდა.

ხოლო მე აღდეგ და მივედ და ვარქუ მცველსა მას: „მე ხოლო მარტოჲ შემიტევე და ვიხილო წყლულებაჲ იგი მისი“. ხოლო მან მრქუა მე: „ნუუკუე ცნას და მომკლას მე?“ და მე ვარქუ მას: „უბადრუკო, არა მისი განზრდილი ხარა და, თუ მოგკლას შენ მისთჳს, რაჲ არს?“ მაშინ შემიტევა მე ფარულად.

და ვითარ შევედ შინა, ვიხილე ხატი მისი დაბძარული და განსივებული, და აღუტევე ჴმაჲ და ვტიროდე. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „ნუ სტირ ჩემთჳს, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამჱ ესე“. და მე ვარქუ წმიდასა შუშანიკს: „მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალთა შენთა შთახეულ არს, და სალბუნი და წამალი დაგდვა, რაჲთა ჰე, და-მე თუ განიკურნო“. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „ხუცეს, მაგას ნუ იტყჳ, რამეთუ სისხლი ესე განმწმენდელ არს ცოდვათა ჩემთაჲ“.

ხოლო მე მცირედ ვაიძულე მიღებად ჭამადი, რომელი მოეძლუანა სამოელ ეპისკოპოსსა და იოვანეს, რამეთუ ფარულად იღუწიდეს და ნუგეშინის-სცემდეს. მაშინ მრქუა მე წმიდამან შუშანიკ: „ხუცეს, ვერ ძალ-მიც გემოჲს-ხილვად, რამეთუ ყბანი და ზოგნი კბილნი შთამუსრვილ არიან“. მაშინ მივიღე მცირედ ღჳნოჲ და პური დავალბე და მცირედ გემოჲ იხილა. და მე ვისწრაფდი გამოსლვად.

მაშინ მრქუა მე წმიდამან შუშანიკ: „ხუცეს, მიუძლუანოა საკაული ესე მისი, ნუუკუე ითხოვდეს, რამეთუ მე ამას ცხორებასა არღარა მეჴმარების!“ ხოლო მე ვარქუ: „ნუ რას ისწრაფი, იყოს შენ თანა“. და ჩუენლა ამას განვიზრახევდით, მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა: „იაკობ მანდა არსა?“ და მე ვარქუ, ვითარმედ: „რაჲ გინებს?“ და მან მრქუა: „უწესს პიტიახში. და მე დამიკჳრდა, თუ რაჲსა-მე მიწესს ამას ჟამსა?! და მივისწრაფე და მივედ და მან მრქუა მე: „უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა? და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო. ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს, იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი. მივედ და მომართუ იგი ყოველივე, რაჲცა-რაჲ არს!“ ხოლო მე მივედ და უთხარ წმიდასა შუშანიკს. ხოლო მან განიხარა ფრიად და მადლი მისცა ღმერთსა და ყოველივე მომიძლუანა. და მივართუ პიტიახშსა და მან მიიღო ჩემგან, აღიხილნა და იპოვა ყოველი გებულად. და კუალად თქუა: „მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეამკოს“.

VIII.

და ვითარცა მოიწინეს დიდნი იგი მარხვანი, მივიდა ნეტარი იგი შუშანიკ მახლობელად წმიდასა ეკლესიასა და იძია მცირჱ სენაკი და მუნ დაეყუდა. და იყო სენაკსა მას მცირჱ სარკუმელი და დაყო იგი. და იყო ბნელსა მას შინა მარხვით და ლოცვით და ტირილით. და ჰრქუა ვინმე პიტიახშსა საკუთარმან მისმან, ვითარმედ: „ამათ წმიდათა მარხვათა ნუ რას ერტყჳ მას“.

და ვითარ მოიწია აღვსებისა ორშაბათი და მოვიდა პიტიახში ბრძოლისა მისგან ჰონთაჲსა, ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა. და აღდგა და მივიდა ეკლესიად და ეტყოდა ეპისკოპოსსა მას აფოცს: „გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან?“ და იწყო გინებად და გმობად ღმრთისა სასტიკად. ხოლო ხუცესმან ერთმან ჰრქუა მას: „უფალო, რაჲსა ეგრე იქმ, და იტყჳ ეგრეთ ბოროტსა და აგინებ ეპისკოპოსსა, და წმიდასა შუშანიკს რისხვით ეტყჳ?“ ხოლო მან უხეთქნა კუერთხითა ხუცესსა მას ზურგსა. და მან ვერღარა იკადრა სიტყუად.

და ეგრეთ წმიდაჲ შუშანიკ თრევით მოითრია თიჴათა შიგან და ეკალთა ზედა ეკლესიით ვიდრე ტაძრადმდე, ვითარცა მკურადი, მიერთრია; და ადგილდ-ადგილდ ქუე ძეძჳ დაეფინა. და თჳთ ფერჴნი დაიდგნის ძეძუსა მას ზედა, და კუბასტნი შუშანიკისნი და ჴორცნი წულილ-წულილად დაებძარნეს ძეძუსა მას. და ეგრეთ მოიყვანეს იგი ტაძრად.

და უბრძანა შეკრვაჲ მისი და ცემაჲ. ბოროტებდა და იტყოდა: „აჰა, ეგერა, არა გერგო შენ ეკლესიაჲ შენი და არცა ზურგნი ეგე შენნი ქრისტიანენი, და უფალი იგი მათი!“

და ვითარცა სცეს კუერთხსა სამას ოდენ, არა რაჲ აღმოჴდა პირსა მისსა ვაებაჲ, არცა კუნესაჲ. მაშინღა ჰრქუა წმიდამან შუშანიკ ურჩულოსა ვარსქენს: „უბადოო, შენდა თავი თჳსი არა შეიწყალე და განსდევ ღმრთისაგან, შენ მემცა შემიწყალეა?!“

და ვითარცა იხილა დიდძალი იგი სისხლი, რომელ დამოსდიოდა ჩჩჳლთა მათ ჴორცთა მისთა, მაშინ უბრძანა დადებაჲ ჯაჭუ ქედსა მისსა. და უბრძანა სენეკაპანსა ერთსა, რაჲთა წარიყვანონ წმიდაჲ შუშანიკ ციხედ და საპყრობილესა ბნელსა შეაყენონ იგი, და მოკუდეს.

IX.

დიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისაჲ დგა წმიდისა შუშანიკის თანა მას ჟამსა, რომელსა გამოჰყვანდა იგი ტაძრით, და უნდა, რაჲთამცა ჰრქუა, თუ: „მტკიცედ დეგ!“ და თუალი ჰკიდა პიტიახშმან, სხუაჲ ვერღარაჲ სცალდა სიტყუად, ესთენ ოდენ ჰრქუა: „მტკი...“ და დადუმნა ხოლო და სივლტოლად იწყო სწრაფით.

მაშინ წარმოიყვანეს და მოჰყვანდა წმიდაჲ შუშანიკ უჴამური და თმაგარდატევებული, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი, და ვერვინ იკადრა თავდა მისსა დაბურვად, რამეთუ პიტიახში იგი მჴედრ შეუდგა უკუანა კუალსა მისსა და აგინებდა მას მრავლითა გინებითა.

და მივიდოდა წმიდისა მის თან ამბოხი მრავალი დედებისა და მამაბისაჲ, სიმრავლჱ ურიცხჳ, რამეთუ უკუანა შეუდგეს, ჴმაჲ აღემაღლა და ტიროდეს და იჴაჴდეს ღაწუთა მათთა და საწყალობელად დასთხევდეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშანიკისთჳს. ხოლო წმიდამან შუშანიკ უკმოჰხედნა ერსა მას და ჰრქუა მათ: „ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომიჴსენეთ. და ჯმნულმცა ვარ მე თქუენგან ამიერითგან, რამეთუ არღარა მიხილოთ ცოცხალი გამოსრული ციხით“. და ვითარცა იხილა პიტიახშმან ამბოხი იგი და ტირილი მამათა და დედათაჲ, მოხუცებულთა და ყრმათაჲ, მჴედრ მიმოდასდევნის და მეოტ-ჰყოფნ მათ ყოველთა. და ვითარცა მიიწინეს ჴიდსა მას ციხისასა, ჰრქუა პიტიახშმან წმიდასა შუშანიკს: „შენდა ეგდენ ყოფად არს ფერჴითა შენითა სლვაჲ, რამეთუ ცოცხალი არღარა გამოსლვად ხარ, გარნა თუ ოთხითა გამოგიღონ“.

და ვითარცა შევიდეს ციხედ, პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოჲთ კერძო, მცირჱ და ბნელი, და მუნ შეაყენეს წმიდაჲ იგი. და ჯაჭჳ იგი, რომელ ედვა ქედსა მისსა ზედა, ეგრეთვე ედვა, და დაჰბეჭდა ურჩულომან ვარსქენ ბეჭდითა თჳსითა. ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: „მე ამას მხიარულ ვარ, რაჲთა აქა ვიტანჯო და მუნ განვისვენო“. ხოლო პიტიახშმან ჰრქუა მას: „ჰე, ჰე, განისუენე!“

მაშინ დაადგინნა მცუელნი მის ზედა და ამცნო მათ, რაჲთა სიყმილითა მოკლან იგი. და ესრეთ ეტყოდა მათ: „გეტყჳ თქუენ, უკუეთუ ვინმე შევიდეს მისა, მამაკაცი, გინა დედაკაცი, იხილენით თავნი თქუენნი და ცოლნი და შვილნი და სახლნი თქუენნი! უბრალომცა ვარ, რაჲ გიყო თქუენ!“ მაშინ გამოვიდა ციხით.

X.

და მესამესა კჳრიაკესა მოუწოდა მცველსა ერთსა, და ჰკითხა მას და ჰრქუა: „აქამომდე ცოცხალღა არსა საწყალობელი იგი?“ ხოლო მან ჰრქუა: „უფალო, სიკუდილდ კერძო უფრო საგონებელ არს, ვიდრე სიცოცხლით, რამეთუ შიმშილითა უფროჲს ხოლო მოკუდების, რამეთუ არა რას მიიღებს საზრდელსა“. ხოლო მან ჰრქუა: „ნურა რაჲ გგლიან, უტე, მოკუდეს!“

ხოლო მე მრავლითა ვედრებითა ვარქუ მცველსა მას და უქადე ჭურჭერი ერთი სამისოჲ. და ძნიად თავს-იდვა შეტევებაჲ ჩემი და მრქუა მე: „რაჟამს დაღამდეს, მოვედ შენ ხოლო მარტოჲ“. და ვითარ შემიყვანა მცველმან მან და ვიხილე ტარიგი იგი ქრისტესი შუენიერად, ვითარცა სძალი, შემკული საკრველთა მათგან, და მე ვითარ ვერ დამითმო გულმან, ვტიროდე ფრიად. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „კეთილისა ამისთჳს სტირა, ხუცეს?“ ხოლო მცველმან მან მრქუა მე: „ესედა თუმცა მეცნა, არამცა შემოგიტევე შენ“. ხოლო მე ვიწყე სიტყუად და განმტკიცებად მისა, რავდენი ღმერთმან მომცა მე სიტყუად. და ვიჯმენ მისგან და წარვედ სწრაფით ვანად ჩემდა.

ხოლო პიტიახში ჩორდ წარემართა. და ჯოჯიკ, ძმაჲ მისი, არა დახუდა, ოდეს საქმჱ ესე იქმნა წმიდისა შუშანიკისა ზედა. და ვითარ მოიწია ჯოჯიკ, უკუანა სდევდა პიტიახშსა. და მიეწია მას საზღვართა ჰერეთისასა, და ევედრებოდა მას ფრიად, რაჲთამცა ბრძანა საკრველთა მათგან განტევებაჲ მისი. და ვითარ ფრიად აწყინა, ბრძანა განტევებაჲ საკრველთაგან ოდენ. და ვითარ მოვიდა ჯოჯიკ, აღჰჴადა ჯაჭჳ იგი ქედსა მისსა, ხოლო ბორკილთაჲ არა თავს-იდუა წმიდამან შუშანიკ ვიდრე აღსასრულამდე მითურთ. რამეთუ ექუსი წელი ციხესა მას შინა აღესრულა და წესიერებითა საღმრთოჲთა ყუაოდა: მარხვითა მარადის, მღჳძარებითა, ზედგომითა, თაყუანის-ცემითა უწყინოდ და კითხვითა წიგნთაჲთა მოუწყინებელად: განაბრწყინა და განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა.

XI.

და მიერითგან განითქუა ყოველსა ქართლსა საქმჱ მისი. და მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნათქუემთა შესაწირად და, რაჲ ვის უჴმდა, მიემადლებოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისითა, რომელსა მისცემდა მას კაცთმოყუარე ღმერთი: უშვილოთა - შვილი, სნეულთა - კურნება, ბრმათა - თუალთა ახილვაჲ.

იყო ვინმე დედაკაცი ერთი სპარსი მოგჳ, რომელსა განბორებისა სალმობაჲ აქუნდა. და მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკისა, ხოლო იგი ასწავებდა მას, რაჲთამცა დაუტევა მოგობაჲ იგი და იქმნა ქრისტიანე. ხოლო დედაკაცმან მან თავს-იდვა აღრე-აღრე. და იგი ასწავებდა დედაკაცსა მას და ეტყოდა, ვითარმედ: „მივედ იერუსალჱმდ და განსწმიდნე განბორებისა მისგან შენისა“. და მან გულსმოდგინედ შეიწყნარა და წარემართა გზასა მას სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა. და განიკურნა იგი სალმობისა მისგან. და ვითარ გარემოიქცა იგი სიხარულითა დიდითა და მოიწია მუნვე, მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკისა მადლისა გარდაჴდად და წარვიდა სახიდ თჳსა სიხარულით განმრთელებული.

XII.

ხოლო წმიდამან შუშანიკ ნაცვლად ჭიჭნაუხტისა საქმისა დიდითა გულსმოდგინებითა ჴელთა აღიხუნა დავითნი და მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა, რომლითა-იგი დღჱ და ღამჱ ზესკნელითა მის მეუფისა მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით.

და უთხრეს ნეტარსა შუშანიკს, ვითარმედ: „შვილნი იგი შენნი მოაქცინა მოგობასა“. მაშინ იწყო თაყუანის-ცემად ღმრთისა მიმართ ტირილითა დიდითა და თავსა თჳსსა ქუე დამართ სცემდა, სულთ-ითქუნა და თქუა: „გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ იყვნესვე არა ჩემნი, არამედ შენნი მოცემულნი იყვნეს. ვითარცა გნებავს, იყავნ ნებაჲ შენი, უფალო, და დამიცევ მე საქმეთაგან მტერისათა“.

და მე მივედ და ვიხილე წმიდაჲ შუშანიკ დამშრშალი და დაბუშებული ტირილითა. და მოეძლუანა წმიდასა მას ეპისკოპოსსა საზრდელი, და ვითარ ფრიად ვაიძულე, მცირედ ოდენ გემო იხილა და ვჰმადლობდით ღმერთსა. და ვიდრე მუნ ჟამამდე მოვიდიან შვილნი იგი მისნი ხილვად დედისა თჳსისა, ხოლო რაჟამს მიექცნეს და უვარ-ყვესცა ღმერთი, ვერღარა იკადრეს ხილვად მისა, არამედ სახელიცა მისი სძაგდა სმენად.

XIII.

და მერმე მოციქულნი მოავლინნა პიტიახშმან და ჰრქუა: ,,ანუ ნებაჲ ჩემი ყავ და მოვედ ტაძრად, უკუეთუ არა მოხჳდე შინა, ჩორდ წარგცე შენ, ანუ კარად, კარაულითა‘‘. ხოლო წმიდამან შუშანიკ მიჰრუქა ესრეთ: ,,უბადოვო და უგულისხმოვო, ხოლო მე თუ კარად, ნუ ჩორდ წარმცე, ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რასმე შევემთხჳო და ბოროტსა ამას განვერე‘‘. და გულსა ეტყოდა პიტიახში იგი სიტყუათა მათთჳს, ვითარ-იგი ჰრქუა მას, ვითარმედ: - ვინ უწყის, თუ კეთილსა რასმე მივემთხჳო, - ვითარმედ ნუუკუე მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს, და მიერითგან არღარავინ მიავლინა მისა. ხოლო წმიდაჲ შუშანიკ ბოროტთა მათ გუემათა დათმენათათჳს იტყოდა, რაჲთამცა სათნო-ეყო ღმერთსა.

ხოლო პიტიახშმან გამოირჩია ძუძუჲსმტე მისი საკუთარი, რაჲთა მოიყვანოს იგი ტაძრად. და ვითარცა ჰრქუა კაცმან მან: ,,ისმინე ჩემი და ჩამოვედ ტაძრად, და ნუ აოჴრებ სახლსა მას თქუენსა‘‘, ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ: ,,არქუ მას ულმრთოსა, ვითარმედ: ,,შენ მომკალ და მარქუ მე: ცოცხალიღა ფერჴითა არა გამოხჳდე შენ მაგიერ ციხით. ხოლო აწ, უკუეთუ შემძლებელ ხარ მკუდარსა აღდგინებადმ პირველად დედაჲ შენი აღადგინე, რომელი ურდს დამარხულ არს, გარნა თუ მისა ვერ შემძლებელ ხარ აღდგინებად, ვერცა ჩემდა შემძლებელ ხარ განყვანებად, გარნა თრევით განმითრიო‘‘.

და ვითარცა მიუთხრა პიტიახშსა სიტყუაჲ იგი, მან თქუა: ,,ნანდჳლვე ვთქუ ეგე‘‘.

და მეორესა დღესა შემო-ვინმე-ვიდა და ჰრქუა წმიდასა შუშანიკს: ,,კეთილად მიუგე მას სიტყუაჲ იგი, რამეთუ მაგით სახით ეგულვებოდა შეტყუვილი შენი, და მას სხუაჲ ზრახვაჲ გულსა მოეჯადა სიბოროტისაჲ შენთჳს‘‘. წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მას: ,,და შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს, რომელმან განუმზადნის სიტყუანი პირსა კაცისასა. რამეთუ იტყჳს თჳთ უფალი: ,,მე მიუგო სიტყუაჲ თქუენ წილ‘‘.

XIV.

და ვითარცა აღივსებოდა მეექუსე იგი წელი საპყრობილესა მას შინა, ჯეკმა დამაშურალობითა შრომათა მათ შინა სიმჴნისა მისისათა სენი სნეულებისაჲ მოიწია მას ზედა, რომელსა-იგი წინასწარ-უღაღადებდი და ვეტყოდე, ვითარმედ: ,,ნუ ჯეკმა, რამეთუ დაუმძიმებ ჴორცთა მაგათ ზედა, რამეთუ ვერ დაგითმონ და მერმე ვერღარას შემძლებელ იყო ყოფად რასმე საქმედ კეთილსა ეგოდენითა მაგით ფიცხლად მარხვითა და მარადის ზედგომითა და ღამე ყოველ დაშრომითა, ფსალმუნებითა და გალობითა‘‘. და არცაღა მცირედ სადა სცა ჴორცთა მისთა განსუენებაჲ, და შეიქმნა და დადნა, ვითარცა ავლი.

ხოლო დიდთა მათ მარხვათა აღუსებისათა ერგასისთა მათ დღეთა ექუსთა წელთა შინა, არცა დღისი, არცა ღამე არა დაჯდის ქუე, არცა დაიძინის, არცა საჭმელი რაჲ მიიღის, გარნა დღესა ხოლო კჳრიაკესა ეზიარა ჴორცსა და სისხლსა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა. და მცირედ ოდენ წუენაკი მსხლისა შექმნული, იგიცა მცირედ, მიიღის, ხოლო პურისა გემო არა იხილის ვიდრე

ალუსებადმდე.

და მიერ დღითგან, ვინაჲთგან პყრობილ-ყვეს იგი ციხესა მას შინა, სასთაულსა ზედა თავი არა მიდვის, გარნა ალიზაკი ერთი დაიდვის სასთუნალ. და ქუესაგებელად იყო გირჯაკი ერთი ძუელი. და კაცთა თუალსა სასთაულაკი ერთი ხალენისაჲ უცნ სასთუნლით კერძო. და თაყუანის-საცემელად კილიკი ერთი მცირე ქუე წარუგდებიედ. და გრწყილი და ტილი მოუგონებელი ადგილსა მას დასხმულ იყო.

ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი და მჴურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, მკჳდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყჳთლებულნი, დაწერტილნი და დამშრშალნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხოვრებულნი, და მოხუცებული არა ვინ არს მათ ქუეყანათა. და ესრეთსა მას ციხესა შინა ექუს წელ პყრობილ იყო და მძიმეთა მათ საკრაველთა შინა ადიდებდა ღმერთსა.

XV.
და ვითარცა მეშჳდე წელი დადგებოდა, მოიწია წმიდისა და სამგზის სანატრელისა შუშანიკის ზედა წყლულებაჲცა ჴორცთა მისთაჲ. და დაუცხრომელად შრომათა მათ გამო დაუსივდეს ფერჴნი მისნი და თხრამლი აღმოსდიოდა ადგილდ-ადგილდ. და წყლულებანი დიდ-დიდნი იყვნეს, და მატლიცა დასხმულ იყო წყლულთა მათ, რომელ-იგი აღიღო ჴელითა თჳსითა, და მიჩუენებდა მე და ჰმადლობდა ღმერთსა და თქუა: „ხუცეს, ნუ მძიმე-გიჩნ ესე, რამეთუ მუნი იგი მატლი უღიდეს არს და არა მოკუდების“. და მე ვითარცა ვიხილე მატლი იგი, მოუგონებელად დიდად მწუხარე ვიყავ და ვტიროდე ფრიად; კუალად მრქუა მე რისხვით: „ხუცეს, რად მწუხარე ხარ, ვიდრე უკუდავთა მათ მატლთა შეჭმასა უმჯობჱს იყავნ ამათ მოკუდავთა შეჭმაჲ აქავე, ამას ცხოვრებასა“. და მე მიუგე და ვარქუ: „ძაძისა სამოსელი მცირედღა შეგერაცხაა საგუემელად? და აწ მატლთა მაგათთჳს მხიარულ ხარ!“ და მან მრქუა მე ქენებით: „ნუ ვის თანა იტყჳ ძაძისა სამოსლისათჳს ცხორებასა ჩემსა, რამეთუ ადრე ყოფად არს დატევებაჲ უბადრუკთა ამათ ჴორცთა ჩემთაჲ“. რამეთუ შინაგან ძაძა ემოსა, და არავინ იცოდა ჩემსა გარეშე, ხოლო გარეგან კაცთა თუალსა ანტიოქიისა პალეკარტი ემოსა.

XVI.
და ვითარცა ესმა ჯოჯიკს, ვითარმედ მიახლებულ არს ნეტარი დედოფალი წმიდაჲ შუშანიკ სიკუდიდ, წარვიდა და თანაწარიყვანნა ცოლი და შვილნი და მონა-მჴევალნი მისნი და მივიდა ციხედ ხილვად სანატრელისა შუშანიკ მარტჳლისა. და ვითარცა მიიწია, მძლავრ შე-ხოლო-ვიდა, და თაყუანის-სცა პატიოსანსა ჯუარსა და მოიკითხა წმიდაჲ შუშანიკ. თანადაუჯდა და ჰკითხვიდა სალმობათა მათთჳს. ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „კეთილ ვარ, ვითარ ღმერთსა უნებს, არამედ ყოველსა წარსავალსა მას გზასა მეცა წარვალ“.

ხოლო ჯოჯიკ მსწრაფლ აღდგა ზე და პირველთა მათ უწესოთა საქმეთა აღუვარებდა და ევედრებოდა წმიდასა შუშანიკს და ეტყოდა: „სძალო და მხევალო ქრისტესო, ითხოვე ღმრთისაგან, რაჲთა მომიტევენ მე მრავალნი შეცოდებანი ჩემნი“. ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მას: „თუ შენ სხუად სახედ, ყრმებრ, არარაჲ ჰქმნე, ღმერთმან მოგიტევნეს შენ“. და ჯოჯიკ ჰრქუა: „მაგის სახისათჳს მოვედ მე შენდა, რაჲთა, რომელი-იგი არა რაჲმე სათნო ეყოს ღმერთსა, არა ვქმნე“. წმიდამან შუშანიკ ჰრქუა: „უკუეთუ ეგრე ჰყო შენ, უკუდავ მექმნე მე მაგით სიტყჳთა და ღმერთმან შესძინენ დღეთა ცხოვრებისა შენისათა“.

და მერმე, ვითარ შეატყუა ჯოჯიკ, ვითარმედ მას დღესა განვალს წმიდაჲ იგი ჴორცთა ამათგან, ჰრქუა: „მაკურთხე მე და ცოლი ჩემი, მჴევალი შენი, და შვილნი ჩემნი და მონა-მჴევალნი ჩემნი. და თუ რაჲმე შეგცოდეთ, ვითარცა კაცთა საწუთროჲსათა და სოფლისმოყუარეთა, მოგჳტევენ და ნუ მოიჴსენებ მეღგრობათა ჩუენთა". ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ჯოჯიკს და ცოლსა მისსა: „ჰყავთ წარმღებად საქმე ესე ჩუენი, რამეთუ არავი იპოვა კაცთაგანი, რომელსამცა აქუნდა წყალობაჲ და ტკივილი ჩემთჳს, რომელმანცა შეაჯერა უღმრთოსა მას საწუთროსა მეუღელსა". ხოლო მათ ჰრქუეს: „ჩუენ თჳნიერ შენსა ფრიად დავშუერით, გარნა არა იყო სმენაჲ, არცა სიტყუაჲ". მაშინ ჰრქუა წმიდამან შუშანიკ: „განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, სადა-იგი არა არს თუალ-ღებაჲ წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაჲსა და მეუფისა მის მეუფეთაჲსა, სადა არა არს რჩევა მამაკაცისა და დედაკაცისა, სადა მე და მან სწორი სიტყუაჲ ვთქუათ წინაშე ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესა. მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოსთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭკნო და შუენიერებაჲ სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა. ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის. ხოლო მე აწ ამას ვჰმადლობ ღმერთსა, რამეთუ ტანჯვითა მისითა მე ლხინებაჲ ვპოვო და გუემათა და თრევათა მისთათჳს მე განსუენებასა მივემთხჳო და უგულისჴმოებისა და უწყალოებისა მისისათჳს მე წყალობასა მოველი იესუ ქრისტეს მიერ, უფლისა ჩემისა".

ხოლო იგინი ამას ყოველსა ზედა სიტყუასა მისსა ტიროდეს მწარედ და ჰრქუეს: „მოგჳტევენ ბრალნი ჩუენნი და გუარკურთხენ, წმიდაო მოწამეო და მარტჳლო სანატრელო ქრისტეს ღმრთისაო". ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა: „ღმერთმან მოგიტევენინ, რომელ-რაჲ-იგი ჰყავთ". მაშინღა აკურთხნა ჯოჯიკ და ცოლი მისი და შვილნი მისნი და მონა-მჴევალნი მისნი, და ყოველი ეზოჲ და პალატი მისი. და ამცნებდა სლვად გზათა ღმრთისათა და ეტყოდა, ვითარმედ: „ესე ყოველი ცხორებაჲ, ვითარცა ყუავილი ველთაჲ, წარმავალ არს და დაუდგრომელ და, ვინ სთესა, მოიმკო, და, ვინ განაბნია გლახაკთათჳს, შეიკრიბა, და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი, მან პოოს იგი, რომელმან აღიდა იგი". და უჯმნა და გამოგზავნნა იგინი მშჳდობით.

XVII.

მერმე შომდგომად ჯოჯიკისა, მოიწია თავი იგი ეპისკოპოსთაჲ დამოველ და იოანე ეპისკოპოსი, მისივე მოყუასი, რომელ0იგი იყვნეს განმამტკიცებელ და დიდად დამაშურალ, სახლეულითურთ თანაყოფით იყვნეს, მონა და მონაწილე იყვნეს და თანაზიარ შრომათა მისთა, მადლობით წარჰგზავნიდეს ნავთსადგურისა მის მიმართ ქრისტესისა. მსგავსად მისვე სახისა აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს ეგრეთვე, რომელნი-იგი გულსმოდგინებით მონაწილე ყოფილ იყვნეს შრომათა მათ მისთა, სანატრელობით, ვითარცა ახოვანსა მჴნესა, მიჰვედრიდეს ქრისტესა.

და თხოვასა ერთსა ითხოვდეს მისგან ყოველნი იგი ეპისკოპოსნი და აზნაურნი ერთბამად, რაჲთა ბორკილი იგი ფერჴთაჲ ბრძანოს საცოდ და ნაკურთხევად ყოველითათჳს, რომლისათჳსცა ჰრქუა წმიდამან შუშანიკ, ვითარმედ: „მე რაჲ ვარ, არაღირსი ესე? ხოლო ღმრთისმოყუარებისა თქუენისათჳს ხუცესმან აღავსენ წადილი თქუენი მაგის სახისათჳს. ხოლო მე რაჲმე-რაჲ შემძლებელ ვარ? არამედ ყოვლად სავსემან ქრისტემან აღგავსენინ თქუენ ყოვლითა კეთილითა, რომელნი-ესე ჩემთჳს მოშუერით და ეზიარენით ვნებათა ამათ ჩემთა და ჭირთა და ტანჯვათა. ხოლო მე, საყუარელნო, აჰა, ესერა, წინაგანმზადებულსა მას ჩემსა გზასა წარვალ საუკუნესა. ჭირისა ამის წილ ჩემისა ქრისტემან მომმადლოს მე სიხარული, სატანჯველთა ამათ წილ - განსუენებაჲ; გუემათა ამათ ჩემთა და თრევათა და შეურაცხებათა - მივემთხჳო მე დიდებასა და პატივსა ცათა შინა დაუსრულებელსა". და იგინი, ჯნმულნი, ცრემლითა სავსენი, ძლევისა მისთჳს

დიდებასა ღმრთისა მიმართ შესწირვიდეს. და გამოვიდეს ციხით და წარვიდეს.

XVIII.
და მოიწია დღე იგი წოდებისა მისისაჲ და მოუწოდა ეპისკოპოსსა მისისა სახლისასა აფოცს და მადლსა მისცემდა მისა მიმართ მოწლეობისა მისისათჳს. ვითარცა მამასა და მამამძუძესა, შემვედრა მე, კაცი ცოდვილი და გლახაკი ესე. და შეჰვედრებდა ნეშტთა მათ ძუალთა მისთასა და უბრძანებდა დასხმად ადგილსა მას, ვინაჲცა-იგი პირველად გამოითრიეს და ეტყოდა: ,,უკუეთუ ღირს რაჲმე ვარ უკუანაჲსკნელი ესე მეათერთმეტე მოქმედი ვენაჴისაჲ, იყვენით ყოველნი კურთხეულ უკუნისამდე ჟამთა“.

და ჰმადლობდა ღმერთსა და თქუა: ,,კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ მშჳდობით მასა ზედა დავწევ და დავიძინე“. და შეჰვედრა სული თჳსი უფალსა ყოველთა შემწყნარებელსა.

XIX.
და მაშინღა ადრე-ადრე მოიღო სანატრელმან მან ეპისკოპოსმან იოვანე შესაგრაგნელად მჩუარი წმიდაჲ წმიდათა მათ და პატიოსანთა ნაწილთა მისთა. და ეგრეთ სხუათა მათ აღვიღეთ გუამი იგი ფრიად დამაშურალი და დაჭმული მატლთაგან, და განბანეთ იგი მატლისა მისგან მიწოვანისა და თხრამლისაგან, და შევჰმოსეთ მჩურითა მით.

და მაშინღა ეპისკოპოსთა მათ ორთავე, იოვაენ და აფოც, ვითარცა ჴართა მჴნეთა დაუღლვილითა სულიერითა და კეროვნითა აღნთებულითა საკუმეველითა სულნელითა აღვიხუენით პატიოსანნი ძუალნი და გამოვიხუენით წმიდასა მას ეკლესიასა. და დავჰკრძალენით წმიდანი იგი და დიდებულნი და პატივცემულნი ნაწილნი წმიდისა შუშანიკისნი განმზადებულსა მას ადგილსა. და მას ღამესა ანგელოზთა სახედ ღამე იგი გავათიეთ და დავითის ქნარითა მით ყოვლადძლიერსა ღმერთსა და ძესა მისსა, უფალსა ჩუენსა, იესუ ქრისტესა, ვადიდებდით, რომელი ყოვლითა ყოველთა მიმართ შემძლებელ არს და განაქველნის მამანიცა და დედანიცა, და თჳსთა მათ თჳსი იგი ძლიერებისა ძლევაჲ მიჰმადლის ყოველთა. რომელნი ეძიებენ მას ერთითა გულითა.

XX.
და არს დასაბამი ტანჯვათა მათ წმიდისა შუშანიკისთაჲ თუესა აპნისისასა, მერვესა თჳსასა, და დღესა ოთხშაბათისა; და მეორედ გუემაჲ მისი - შემდგომად აღუსებისა ზატიკსა დღესა ორშაბათსა, და კუალად ტანჯვაჲ ვარდობისა თუესა ათცხრამეტსა და აღსრულებაჲ მისი - თუესა იკდონბერსა ათჩჳდმეტსა, საჴსენებელსა წმიდათა მათ და სანატრელთა მოწამეთა კოზმან და დამიანეთა.

და დღე ხუთშაბათი იყო, რომელსა განვაწესეთ საჴსენებელი წმიდისა შუშანიკისი სადიდებელად და საქებელად ღმრთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, რომელსა შუენის დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

| I თავი | I თავი |
| --- | --- |
| და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი: | ახლა დანამდვილებით მოგითხრობთ წმინდა და სანატრელი შუშანიკის აღსასრულის ამბავს. |
| იყო, მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა, კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში, ძჱ არშუშაჲსი, რამეთუ პირველ იგიცა იყო ქრისტიანე, ნაშობი მამისა და დედისა ქრისტიანეთაჲ. და ცოლად მისა იყო ასული ვარდანისი, სომეხთა სპაჲსპეტისაჲ, რომლისათჳს-ესე მივწერე თქუენდა, მამისაგან სახელით – ვარდან, – და სიყუარულით სახელი მისი – შუშანიკ, მოშიში ღმრთისაჲ, ვითარცა-იგი ვთქუთ, სიყრმითგან თჳსით. | სპარსეთის შაჰის მეფობის მერვე წელს სამეფო კარზე გაემგზავრა ვარსქენ პიტიახში, არშუშას ძე, თავდაპირველად იგიც ქრისტიანი იყო, შვილი ქრისტიანი დედ-მამისა. და მას ცოლად ჰყავდა ასული ვარდანისა, სომხეთის მხედართმთავრისა, რომლის შესახებაც მოგწერეთ თქვენ, მამისგან მისი სახელი იყო ვარდანი და სიყვარულით-შუშანიკი, ბავშვობიდანვე ღვთის მოშიში, როგორც უკვე გიამბეთ. |
| და უკეთურებისა მის სახისა ქმრისა მისისაჲსა მარადის გულს-ეტყჳნ და ევედრებინ ყოველთავე ლოცვის-ყოფად მისთჳს. რაჲთამცა ცვალა იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუნურებისა და იქმნამცა გონიერებასა ქრისტესსა. | და ქმრის ავი ბუნების გამო მუდამ გული სტკიოდა და ყველას ევედრებოდა, ელოცათ მისთვის, რათა ღმერთს მისი უგუნური ბუნება შეეცვალა და ქრისტეს გონიერებისაკენ მოებრუნებინა. |
| ხოლო ამის უბადრუკისა და სამგზის საწყალობელისა ვარსქენისი ვითარმე ვინ თქუას ყოვლად განწირულისაჲ, ვითარ-იგი განაგდო სანატრელი სასოებაჲ ქრისტესი, ანუ ვინ არა სტიროდის მას, რომელსა არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახჳლი, არცა პყრობილებაჲ ქრისტესთჳს?! | ხოლო ამ, უბედურისა და სამგზის საცოდავის, ყოველმხრივ განწირული ვარსქენის ამბავი ვინ უნდა თქვას, თუ როგორ უარყო სანატრელი ქრისტეს რწმენა, ანუ ვინ  არ სტიროდა მას, რომელსაც არც გასაჭირი ენახა, არც შიში, არცა მახვილი, არც პატიმრობა ქრისტესთვის?! |
| რამეთუ რაჟამს წარდგა იგი წინაშე სპარსთა მეფისა, არა თუ პატივისა მოღებისათვის, არამედ ძლუნად თავსა თჳსსა შესწირჳდა მეფისა მის მიმართ, უვარის-ყოფითა ჭეშმარიტისა ღმრთისაჲთა და თაყუანის-სცემდა ცეცხლსა, რამეთუ ყოველით | რადგან როგორც კი წარსდგა სპარსეთის მეფის წინაშე, არა დიდების მისაღებად, არამედ თავის თავს მეფეს ძღვნად შესწირავდა, ჭეშმარიტი ღმრთის უარყოფით და თაყვანს სცემდა ცეცხლს, რადგან სრულად განუდგა ქრისტეს რჯულს.. |

| | |
|---|---|
| ჴერძოვე თავი თჳსი ქრისტეჲსგან განაგდო.<br><br>ხოლო საწყალობელი ესე ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან, რაჲთამცა სათნო-ეყო მეფესა, და ესრეთ ეტყოდა, ვითარმედ: „რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი, იგინიცა ესრევე მოვაქცინე შენსა სჯულსა, ვითარცა-ესე მე“. ამას უქადებდა, რომელი-იგი არა აქუნდა ჴელთა შუშანიკისაგან. მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაჲ. | ხოლო ეს საცოდავი ცოლს ითხოვდა სპარსთა მეფისაგან, რათა მოსწონებოდა მეფეს და ასე ეუბნებოდა, რომ: "რომელიც ჩემი კანონიერი ცოლია და შვილები, იმათაც ისე მოვაქცევ შენს რჯულზე, როგორც მე". იმას ჰპირდებოდა, რაზეც  თანხმობა შუშანიკისაგან არ ჰქონდა. მაშინ გაიხარა მეფემ და ბრძანა მეფის ასულის მისთვის ცოლად მიცემა. |
| II თავი<br><br>და იჯმნა მეფისაგან სპარსთაჲსა პიტიახშმან. და ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქვეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა-ყო, რაჲთა აუწყოს და წინამიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი, რაჲთა მათ გამო, ვითარცა ერთგული, სოფლად შევიდეს. და წარმოჰმართა საიდასპანოჲთა ცხენითა მონაჲ თჳსი. და ვითარცა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ჰრქჳან ცურტავ.<br><br>და ვითარცა მოიწია და შევიდა წინაშე შუშანიკისა, დედოფლისა ჩუენისა, კითხვაჲ ჰრქუა, ხოლო სანატრელმან შუშანიკ, ვითარცა წინაჲსწარმეტყუელმან ჰრქუა: „უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ, იგიცა და შენცა. უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაჲ ეგე შენი შენდავე მოიქეცინ!“.<br><br>ხოლო კაცმან მან ვერ იკადრა სიტყუად მისა. ხოლო წმიდაჲ შუშანიკ აფუცებდა და ჰკითხჳდა | II თავი<br><br>გამოეთხოვა სპარსეთის მეფეს პიტიახში,  და როგორც კი მოაღწია ქართლის საზღვარს, ჰერეთს მხარეს , განიზრახა, რომ შეეტყობინებინა და წინ შეგებებოდნენ მას აზნაურნი და თავისი შვილები და მსახურები, რათა, მათთან ერთად, ერთგულებით შესულიყო ქვეყანაში. და საშიკრიკო ცხენით გამოგზანა თავისი მსახური, რათა მისულიყო დაბაში, რომელსაც ჰქვია ცურტავი.<br><br>როგორც კი მოვიდა და შევიდა შუშანიკთან, ჩვენს დედოფალთან, მოიკითხა, ხოლო სანატრელმა შუშანიკმა, როგორც წინასწარმეტყველმა, უთხრა:,,თუ სულით ცოცხალია ის, ცოცხალი იყავით იგიცა და შენცა, ხოლო თუ სულით  მოკვდით, ეგ შენი მოკითხვა შენვე დაგიბრუნდეს.<br><br> ხოლო იმ კაცმა ვერ გაბედა სიტყვის თქმა, ხოლო წმინდა შუშანიკი აფიცებდა და ეკითხებოდა სიმართლეს. მაშინ კაცმა მას |

| | |
|---|---|
| დამტკიცებულად. ხოლო კაცმან უთხრა მართალი და ჰრქუა, ვითარმედ: „ვარსქენ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი“.<br><br>ვითარცა ესმა ნეტარსა შუშანიკს, დავარდა ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწარითა იტყოდა: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი და შეერთო იგი უღმრთოთა“.<br><br>და აღდგა და დაუტევა ტაძარი თჳსი და ღმრთისმოშიშებით ეკლესიად შევიდა და თანა მიიყვანა სამნი იგი ძენი და ერთი ასული და წარადგინნა იგინი წინაშე საკურთხეველისა და ესრეთ ილოცვიდა და იტყოდა: „უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი, განათლებულნი წმიდისაგან ემბაზისა, მადლითა სულისა წმიდისაჲთა, ყოფად ერთ სამწყსო ერთისა მწყემსისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა!“<br><br>და ვითარცა მწუხრისა ჟამი აღასრულეს, სახლაკი ერთი მცირე პოვა მახლობელად ეკლესიასა და შევიდა მუნ შინა სიმწარითა სავსე და მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა. | სიმართლე უთხრა და თქვა::,,ვარსქენმა უარყო ჭეშმარიტი ღმერთი“.<br><br>როგორც კი ნეტარმა შუშანიკმა ეს ამბავი გაიგო, დავარდა იგი მიწაზე და თავს ძირს ურტყამდა და მწარე ცრემლით ამბობდა: ,,გასაცოდავდა უბადრუკი ვარსქენი, რადგან უარყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ცეცხლთაყვანისმცემლობა და ურჯულოებს შეუერთდა”.<br><br>და ადგა და დატოვა თავისი სასახლე და ღვთისმოშიშებთ ეკლესიაში შევიდა, თან წაიყვანა თავისი სამი ძე და ერთი ასული, საკურთხეველთან დააყენა ისინი და ასე ლოცულობდა და ამბობდა:: ,,უფალო ღმერთო, შენი მოცემულნი არიან და შენვე დაიცავი ისინი, წმინდა ემბაზისაგან სულიწმინდის მადლით განათებულნი, მკვიდრად ერთი სამწყსოსი ერთი მწყემსისა, უფლისა ჩვენი იესო ქრისტესი“.<br><br>და როდესაც საღამოს ლოცვა აღასრულეს, ერთი მცირე სამყოფელი ნახა ეკლესიის მახლობლად, შევიდა შიგ დიდი წუხილით სავსე, ერთ კუთხეს მიეყრდნო და ცხარე ცრემლით ატირდა. |
| III თავი | III თავი |

| | |
|---|---|
| ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისა მის პიტიახშისაჲ, რომელსა სახელი ერქუა აფოც, არა მუნ იყო, არამედ კაცისა ვისამე წმიდისა ვანად მისრულ იყო კითხვად რაჲსამე სიტყჳსა. და მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანავჰყვანდი ეპისკოპოსსა მას. და მყის მოიწია ჩუენდა დიაკონი შინაჲთ და გჳთხრა ჩუენ ესე ყოველი – მოსლვაჲ პიტიახშისაჲ და საქმენი დედოფლისანი. ხოლო ჩუენ აღვივსენით მწუხარებითა და დიდითაი ტირილითა ვტიროდეთ განმწარებულნი ცოდვათ ჩუენთა წარმოჩინებისათჳს. | ხოლო პიტიახშის სახლის ეპისკოპოსი, რომელსაც სახელად  ერქვა აფოცი, იქ არ იყო, არამედ ვინმე წმინდა კაცთან იყო მისული რაღაცის საკითხავად. და მეც, ხუცესი დედოფალ შუშანიკისი, თან ვყავდი წაყვანილი ამ ეპისკოპოსს. ჩვენთან მალევე მოვიდა დიაკვანი შინიდან და გვიამბო ეს ყველაფერი–პიტიახშის მოსვლა და დედოფლის საქციელი. ხოლო ჩვენ დიდად დავმწუხრდით და დიდი ტირილით ვტიროდით ჩვენი ცოდვების გამოვლენის გამო. |
| ხოლო მე ვიჯმენ ადრე და მივიწიე დაბასა მას, რომელსაცა იყო ნეტარი შუშანიკ. და ვითარცა ვიხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროდე მის თანავე. და ვარქვი ნეტარსა შუშანიკს: „ღუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო! ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტესსა, ნუ–უკუე მტერმან, ვითარცა სრსჳლმან, საძოვარი პოოს შენ თანა“. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „ხუცეს, და მეცა დიდსა ღუაწლსა განმზადებულ ვარ“. და მე ვარქუ მას: „ეგრჱთ არს. მკნე იყავ, მოთმინე და სულგრძელ“. ხოლო მან მრქუა მე: „ჩემდა მარტოჲსა არიან ჭირნი ესე!“ | ხოლო მე მალევე გამოვბრუნდი და მივედი იმ დაბაში, სადაც ნეტარი შუშანიკი იყო. და როცა ვნახე ის გამწარებული , მეც მასთან ერთად ვტიროდი. ვუთხარი ნეტარ შუშანიკს: ,,დიდ განსაცდელში შეხვალ, დედოფალო! გაუფრთხილდი ქრისტეს სარწმუნოებას, ვაითუ ეშმაკმა, როგორც სირსველმა, საძოვარი ნახოს შენთან“. ხოლო წმინდა შუშანიკმა მითხრა მე:,,ხუცესო, და მეც დიდი განსაცდელისთვის მზად ვარ“.და მე ვუთხარი მას: ,,ეგრეა, მტკიცე იყავი, მომთმენი და სულგრძელი“. ხოლო მან მითხრა მე:,,მხოლოდ ჩემთვისაა ეს განსაცდელი“. |
| ხოლო მე ვარქუ მას: „ჭირნი შენნი ჭირნი ჩუენნი არიან და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს. ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ, ყოველთა, ვითარცა შვილთა, გუხედევდ“. | ხოლო მე ვუთხარი მას:,,შენი განსაცდელი ჩვენი განსაცდელია და შენი სიხარული ჩვენი სიხარულია. ჩვენი არა მარტო დედოფალი იყავი, არამედ ჩვენ ყველას, როგორც შვილს, ისე გვივლიდი“. |

| | |
|---|---|
| და ვარქუ მე სანატრელსა მას: „ხუაშიადადრე, ვითარ გეგულების, მითხარ მე, რაჲთა უწყოდი და აღვწერო შრომაჲ შენი“. ხოლო მან მრქუა მე: „რასა მკითხავ ამას?“ დ მე მიუგე და ვარქუ მას: „მტკიცედ სდგაა?“ და მან მრქუა მე: „ ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსქენისათა!“ მე მიუგე და ვარქუ მას: „მწარე გონება აქუს მას, გუემასა და ტანჯუასა დიდსა შეგაგდოს შენ“. ხოლო მან მრქუა მე: „უმჯობეს არს ჩემდა ჴელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაჲ და წარწყმედაჲ სულისა ჩემისაჲ, რამეთუ მასმიეს მე პავლჱს მოციქულისაგან: „არა დამონებულ არს ძმაჲ, გინა დაჲ, არამედ განეყენენ“. და მე ვთქუ: „ეგრეთ არს“. | და ვუთხარი სანატრელსა მას: ,,თუ საიდუმლო რამე გაქვს, მითხარი, რათა ვიცოდე და აღვწერო შენი ღვაწლი“. ხოლო მან მითხრა მე: ,,ამას რატო მეკითხები?“და მე ვუთხარი მას: ,,მტკიცედ დგახარ?“და მან მითხრა მე:,,ღმერთმა ნუ ქნას, რომ მე ვარსქენის საქმესა და ცოდვას ვეზიარო“. მე პასუხი გავეცი და ვუთხარი: ,,ბოროტი ბუნება აქვს მას, ცემასა და დიდ ტანჯვაში ჩაგაგდებს“. ხოლო მან მითხრა:,,ჩემთვის მისი ხელით სიკვდილი უკეთესია, ვიდრე ჩემი და მისი შეყრა და ჩემი სულის წარწყმედა, რადგან პავლე მოციქულისაგან მსმენია:,, არ არის დამონებული ძმა ან და, და განეშორონ“.და მე ვთქვი:,,ეგრეა“. |
| IV თავი<br><br>და ვიდრე ჩუენ ამას სიტყუასა შინა ვიყვენით, კაცი ერთი სპარსი მოვიდა და შევიდა იგი წინაშე ნეტარისა შუშანიკისა, და ტირილით იტყოდა: „ესევითარი სახლი მშჳდობისაჲ ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა“. ხოლო ზრახვითა იყო იგი ვარსქენისითა და ზაკუვით იტყოდა ამას და უნდა მონადირებაჲ ნეტარისა მის. ხოლო წმიდამან მან ცნა ზაკუვითი იგი ზრახვაჲ მისი და მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ.<br><br>და შემდგომად სამისა დღისა მოვიდა ვარსქენ პიტიახში. და უთხრა სპარსმან მან ფარულად და ჰრქუა: „მე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდგომილ არს შენგან. და მე გეტყჳ შენ: ნუ რას ფიცხელსა სიტყუასა ეტყჳ მას, რამეთუ დედათა ბუნებაჲ იწრო არს“. | IV თავი<br><br>სანამ ჩვენ ამას ვსაუბრობდით, ერთი სპარსი კაცი მოვიდა და შევიდა იგი ნეტარ შუშანიკთან და ტირილით ამბობდა:,,ესეთი მშვიდობიანი ოჯახი როგორი საცოდავი გახდა და სიხარული მწუხარებად როგორ გადაიქცა“.<br><br>ხოლო ფიქრით ის ვარსქენის თანამოაზრე იყო და მზაკვრულად ამბობდა ამას, იმ ნეტარის გულის მონადირება უნდოდა. ხოლო წმინდა შუშანიკი მიხვდა მის მზაკვრულ განზრახვას და მისგან თავი შორს დაიჭირა.<br><br>სამი დღის შემდეგ მოვიდა ვარსქენ პიტიახში და იმ სპარსმა ჩუმად უამბო ყველაფერი და უთხრა:,,მე როგორც შემიტყვია, შენი ცოლი გაშორებულია შენგან. და მე გეტყვი შენ: ნურანაირ მკაცრ სიტყვებს ეტყვი მას,, რადგან ქალების ბუნება სათუთია“. |

| | |
|---|---|
| და ხვალისა დღე, ვითარ აღდგა პიტიახში, გჳწოდა ჩუენ, ხუცესთა, და მივედით. და სიხარულით შეგჳმთხჳნა და გვრქუა ჩუენ: „აწ ნუ რას მერიდებით მე ნუცა ლა გძაგ“. და ჩუენ მიუგეთ და ვარქუთ: „წარსწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუწყმიდენ“. მაშინღა იწყო სიტყუად და თქუა: „რაჲსა ჳელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ? აწ მივედით და არქუთ, ვითარმედ შენ ჩემი ხატი დაამჳუ. და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ. და შენი ადგილი დაგიტევებიეს და სხუად წარსრულ ხარ“. ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი? და მემცა დავამჳუ! ხოლო მამამან შენმან აღჰმართნა სამარტჳლენი და ეკლესიანი აღაშჱნნა, და შენ მამისა შენისა საქმენი განრჰყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი. მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თჳსა, ხოლო შენ დევნი შემოიხუენ, მან ღმერთი ცათაჲ და ქუეყანისაჲ აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის-ეც, და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ-გყავ. და, თუ მრავალი ტანჯვაჲ მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა!“<br><br>ხოლო ჩუენ ესე ყოველი მიუთხართ პიტიახშსა. ხოლო მან განიწყო გული და იბრდღუენდა მისთჳს. | მეორე დღეს, როგორც კი ადგა პიტიახში, დაგვიძახა ჩვენ, ხუცესებს და მივედით. სიხარულით დაგვხვდა და გვითხრა: ,ახლა ნუ მერიდებით მე და ნუღარც გძულვართ!“ ჩვენ ვუპასუხეთ და ვუთხარით: ,,თავი დაიღუპე და ჩვენც დაგვღუპე“.მაშინ დაიწყო ლაპარაკი და თქვა: ,,რატომ გაბედა ჩემმა ცოლმა ამისთანა საქმის ჩადენა? ახლა მიდით და უთხარით: "შენ ჩემი ოჯახი დაამხე და ჩემს სარეცელს ნაცარი გადააყარე. შენი ადგილი მიგიტოვებია და სხვაგან წასულხარ". ხოლო წმინდა შუშანიკმა თქვა: ,,განა მე არ შევქმენი ის ოჯახი და მევე დავამხე! ხოლო შენმა მამამ აღმართა სამლოცველოები და ეკლესიები ააშენა, და შენ შენი მამის საქმეები გააფუჭე და მისი კეთილი ნაღვაწი სხვად გარდააქციე. მამაშენმა წმინდანნი მემოიკრიბა თავის გარშემო, ხოლო შენ უწმინდურები შემოიკრიბე, მან ღმერთი ცისა და ქვეყნისა აღიარა და ირწმუნა, ხოლო შენ ჭეშმარიტი ღმერთი უარყავი და ცეცხლს ეცი თაყვანი. და როგორც შენ ღმერთი შენი უარყავი, ასევე მე შენ შეურაცხგყავი, და რამდენი ტანჯვაც არ უნდა მომაყენო, არ ვეზიარები შენს საქმეს“.<br><br>ხოლო ჩვენ ეს ყველაფერი ვუამბეთ პიტიახშს, ის განრისხდა და ამის გამო მძვინვარებდა. |
| V თავი<br><br>მერმე მიავლინა ჯოჯიკ, ძმაჲ თჳსი, და ცოლი ჯოჯიკისი, ძმის ცოლი თჳსი, და ეპისკოპოსი სახლისა თჳსისაჲ და ჰრქუა მათ: „ესრეთ არქუთ: აღდეგ და მოვედ ადგილსა თჳსსა და ნუ | V თავი<br><br>მერე გაგზავნა ჯოჯიკი, თავისი ძმა, და ჯოჯიკის ცოლი, თავისი ძმის ცოლი, და თავისი სახლის ეპისკოპოსი და უთხრა მათ: ,,ასე |

| | |
|---|---|
| ეგევითარი გონებაჲ გიპყრიეს, უკუეთუ არა, თრევით მოგითრიო!“ | უთხარიათ: ადექი და მოდი შენს ადგილას და ნუ ხარ მაგ ჭკუაზე, თუ არა, მოგათრევ“. |
| და ვითარ მიიწინეს და შევიდეს წინაშე დედოფლისა და მრავალსა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყოდეს მას, მაშინ წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მათ: „კაცნო ბრძენნო, თქუენ კეთილად იტყჳთ, გარნა ნუ დაგიჯერებიეს, თუმცა მე მისა ცოლადღა ვიყავ. მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ჭეშმარიტი აღიაროს, და აწ მე მაიძულებთ ამას ყოფად?! ნუ იყოფინ ესე ჩემდა! და შენ, ჯოჯიკ, არღარა ჩემი მაზლი ხარ და არცაღა მე შენი ძმისცოლი, არცა ცოლი შენი დაჲ ჩემი არს, რომელნი მის კერძო და მისთა საქმეთა ზიარ ხართ“. ჰრქუა მას ჯოჯიკ: „უწყი მე, აწ მოავლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყუანოს შენ“. ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა: „უკუეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის, რამეთუ მით სახითა იყოს განჩინებაჲ ჩემი მისგან“. | როცა მივიდნენ და შევიდნენ დედოფალთან, ბევრ დამარწმუნებელ სიტყვას ეუბნებოდნენ მას. მაშინ წმინდა შუშანიკმა უთხრა მათ:,,კაცნო ბრძენნო, თქვენ კარგად საუბრობთ, მაგრამ ნუ გჯერათ, რომ მე მისი ცოლი ვიქნები. მე მეგონა, იქნებ ჩემკენ მოვაქციო და ღმერთი ჭეშმარიტი აღიაროს, და ახლა მე მაიძულებთ ამის ჩადენას? შორს ჩემგან! და შენ, ჯოჯიკ, ჩემი მაზლი აღარ ხარ და არც მე–შენი ძმის ცოლი, არც შენი ცოლია ჩემი და, რომლებიც მისი მომხრე და მისი საქმეების თანაზიარნი ხართ. ჯოჯიკმა უთხრა მას: ,,ვიცი, რომ მოავლენს მსახურებს და თრევით წაგიყვანს“. წმინდა შუშანიკმა უპასუხა: ,,თუ შემკრავს და მათრევს, გავიხარებ, რადგანაც ამ სახით იქნება ჩემი და მისი განშორება“. |
| და ვითარცა ესმა ესე მისგან, ცრემლოოდეს ყოველნი და ჯოჯიკ აღდგა და ცრემლით გარე განვიდა.ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ეპისკოპოსსა: „ვითარ მეტყჳ მე დაჯერებად ჩემდა, რამეთუ მან ღმერთი უვარ-ყო?!“ ხოლო ჯოჯიკ ევედრებოდა და ეტყოდა: „დაჲ ჩუენი ხარ შენ, ნუ წარსწყმედ სახლსა ამას სადედოფლოსა“. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ: „უწყი, ვითარმედ დაჲ ვარ და ერთგან განზრდილნი, ხოლო მაგას ვერ ვჰყოფ, ვითარმცა მოსისხლეობაჲ იქმნა, და თქუენ ყოველნი თანამდებ იქმნენით“. | როგორც კი მოისმინეს ეს მისგან, ყველა ატირდა. ჯოჯიკი ადგა და თვალცრემლიანი გარეთ გავიდა, ხოლო წმინდა შუშანიკმა უთხრა ეპისკოპოსს: ,,როგორ ცდილობ ჩემს გადარწმუნებას, როცა მან ღმერთი უარყო?“ჯოჯიკი ევედრებოდა და ეუბნებოდა: ,,შენ ჩვენი და ხარ, ნუ წარწყედ სადედოფლო სასახლეს“. შუშანიკმა მას უთხრა:,,ვიცი, რომ და ვარ და ერთად გაზრდილნი, ოღონდ იმას ვერ ვიზამ, დანაშაული მოხდეს და ბრალი თქვენც დაგედოთ“. |

| | |
|---|---|
| და ვითარცა ფრიად აურვებდეს მას, აღდგა წმიდაჲ და ნეტარი შუშანიკ და თანაწარიტანა ევანგელჱ თჳსი, და ტირილით ესრჱთ იტყოდა: „უფალო ღმერთო, შენ უწყი, ვითარმედ მე გულითად სიკუდილდ მივალ“.<br><br>ესე თქუა და წარვიდა მათ თანა, და თანაწარიტანა ევანგელჱ თჳსი და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი. და რაჟამს შევიდა იგი ტაძარსა მას, არა დაჯდა იგი თჳსსა მას გალიაკსა, არამედ სენაკსა შინა მცირესა. და აღიპყრნა ჴელნი თჳსნი ზეცად წმიდამან შუშანიკ და თქუა: „უფალო ღმერთო, არცა მღვდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალჱ. არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას. არამედ ყოველთა მე სიკუდილდ მიმითუალეს მტერსა ღმრთისასა ვარსქენს“. | და რადგან ძალიან აწუხებდნენ ხვეწნით, ადგა წმინდა და ნეტარი შუშანიკი, თან წაიღო თავისი სახარება და ტირილით ასე ამბობდა:,,უფალო ღმერთო, შენ იცი, მე ერთგულად სიკვდილისთვის მივდივარ“.<br><br>ეს თქვა და მათთან ერთად წავიდა და თან წაიღო თავისი ევანგელე და მოწამეთა წმინდა წიგნები. და როდესაც სასახლეში მივიდა, არ შევიდა თავის სადედოფლო ოთახში, არამედ ერთ პატარა სენაკში დაბინავდა. აღაპყრო ხელები ზეცისკენ წმინდა შუშანიკმა და თქვა:,,უფალო ღმერთო, არც მღვდელთაგანი აღმოჩნდა ვინმე ჩემი მწყალობელი, არც ვინმე ერისკაცთაგანი გამოჩნდა ამ ხალხში, ყველამ სასიკვდილოდ მიმცა ღვთის მტერ ვარსქენს“. |
| VI თავი<br><br>და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად და ჰრქუა მსახურთა თჳსთა: „დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ, ხოლო სხუასა ნუ ვინ უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად“.<br><br>და რაჟამს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად პურისა ჭამაჲ, რაჲთამცა მოიყვანეს წმიდაჲ შუშანიკცა. და ვითარცა მოიწია ჟამი პურისაჲ, შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რაითამცა მასცა აჭამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაევლინეს. და ვითარცა მეტად აიძულეს და ძლით წარიყვანეს ტაძრად, ხოლო გემოჲ არარაჲსაჲ იხილა. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღჳნოჲ | VI თავი<br><br>ორი დღის შემდეგ სასახლეში მოვიდა ის მგელი და უთხრა თავის მსახურებს:,,დღეს მე, ჯოჯიკმა და მისმა ცოლმა ერთად უნდა ვჭამოთ პური და სხვას ნურავის მისცემთ ჩვენთან შემოსვლის უფლებას“.<br><br>და როგორც კი შეღამდა, მოუხმეს ჯოჯიკის ცოლს და ერთად პურის ჭამა ინებებს, რომ მოეყვანათ წმინდა შუშანიკიც. და როდესაც პურობის დრო მოახლოვდა, ჯოჯიკი და მისი ცოლი შუშანიკთან შევიდნენ, მისთვისაც რომ ეჭმიათ პური, რადგან მთელი ის დღეები უზომოდ გაეტარებინა დედოფალს. და როცა მეტისმეტად აიძულეს და წაიყვანეს სასახლეში, პირი არაფერს არ დააკარა. ხოლო ჯოჯიკის ცოლმა მას ღვინით სავსე ფიალა მიაწოდა, |

| | |
|---|---|
| ჭიქითა და აიძულებდა მას, რაჲთამცა იგი ხოლო შესუა. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ და განყარა ჴელი და ჭიქაჲ იგი პირსა შეალეწა და ღჳნოჲ იგი დაითხია. | რათა ეს მაინც შეესვა, ხოლო წმინდა შუშანიკმა რისხვით უთხრა მას:,,აქამდე როდის ყოფილა, რომ ქალსა და კაცს ერთად ეჭამათ პური?!“ ხელი გაიქნია და ის ჭიქა სახეში შეალეწა და ღვინო დაიქცა. |
| მაშინ იყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერჴითა თჳსითა დასთრგუნვდა მას, და აღიღო ასტამი და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა, და თუალი ერთი დაუბუშტა. და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა; ვითარცა მჴეცი მძჳნვარჱ, ყიოდა და იზახდა, ვითაცა ცოფი. | მაშინ ვარსქენმა უხამსი გინება დაიწყო და თავისი წიხლებით სცემდა მას, აიღო ასტამი და თავში ჩაარტყა და ცალი თვალი დაუსია. უმოწყალოდ ურტყამდა სახეში მუშტებს და თმით მიმოითრევდა. მძვინვარე მხეცივით ყიოდა და ცოფიანივით ღრიალებდა. |
| მაშინ შუელად აღდგა ჯოჯიკ, ძმაჲ მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის გუემა იგიცა, და კუბასტიცა თავსა მისსა მოხეთქა, და ჭირით, ვითარცა კრავი მგელსა, გამოუღო ჴელთა მისთა. და ვითარცა მკუდარი, იდვა წმიდაჲ შუშანიკ ქუეყანასა ზედა, და აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მაოჴრებელად სახელ-სდებდა მას. და უბრძანა შეკრვაჲ მისი და ბორკილთა შესხმაჲ ფერჴთა მისთაჲ. | მაშინ საშველად წამოდგა ჯოჯიკი, მისი ძმა, და მანამ აშველებდა , სანამ მასაც არ სცემა და სამოსელი არ შემოახია. და, ძლივს, როგორც კრავი მგელს, გამოგლიჯა ხელიდან. როგორც მკვდარი, ისე იდო წმინდა შუშანიკი მიწაზე. ვარსქენი აგინებდა მის გვარ-ჯიშს და ოჯახის მაოხრებელს ეძახდა. და ბრძანა მისი შეკვრა და ფეხებზე ბორკილების დადება. |
| და ვითარცა მცირედ და-რე-სცხრა გულისწყრომისაგან, მოვიდა სპარსი იგი და მჴურვალედ ევედრებოდა მას, რაჲთამცა საკრველთა მათგან განეტევა წმიდაჲ შუშანიკ. და ვითარ ფრიად ევედრებოდა, ბრძანა განტევებაჲ მისი და სენაკსა ერთსა შეყვანებაჲ და კრძალულად დაცვაჲ მისი ერთითა მსახურითა, და რაჲთა სხუაჲ არა ვინ შევიდეს ხილვად მისა, - არცა მამაკაცი, არცა დედაკაცი. | როდესაც ოდნავ დაწყნარდა გულისწყრომისაგან, მოვიდა ის სპარსი და მხურვალედ ევედრებოდა მას, ბორკილები აეხსნა წმინდა შუშანიკისთვის.და რაკი ძლიერ ევედრებოდა, ბრძანა ბორკილებისგან მისი გათავისუფლება, ერთ სენაკში შეყვანა და ერთი მსახურის მიერ მისი საგანგებოდ დაცვა, რათა მის სანახავად არავინ შესულიყო - არც ქალი, არც კაცი. |

| VII თავი | VII თავი |
| --- | --- |
| და ვითარცა ცისკარ ოდენ იყო, იკითხა და თქუა მსახურისა მიმართ მისისა, ვითარმედ: „წყლულებისა მისგან ვითარ არს?“ ხოლო მან ჰრქუა მას: „ვერ განსარინებელ არს იგი“. მაშინ თჳთ შევიდა და იხილა იგი. და დაუკჳრდა დიდძალი იგი სიმსივნჱ მისი. და ამცნო მსახურსა მას და ჰრქუა: „ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა“. და თჳთ ნადირობად წარვიდა. | როგორც კი ოდნავ ინათა, იკითხა და უთხრა თავის მსახურს:,,ჭრილობებისაგან როგორ არის?“ხოლო მან უპასუხა:,,ვერ გადარჩება“.მაშინ თავად შევიდა და ნახა იგი. გაუკვირდა მისი დიდძალი წყლულები. და მსახურს უბრძანა:,,არავინ შევიდეს მის სანახავად."თვითონ კი სანადიროდ წავიდა. |
| ხოლო მე აღდეგ და მივედ და ვარქუ მცველსა მას: „მე ხოლო მარტოჲ შემიტევე და ვიხილო წყლულებაჲ იგი მისი“. ხოლო მან მრქუა მე: „ნუუკუე ცნას და მომკლას მე?“ და მე ვარქუ მას: „უბადრუკო, არა მისი განზრდილი ხარა და, თუ მოგკლას შენ მისთჳს, რაჲ არს?“ მაშინ შემიტევა მე ფარულად. | ხოლო მე ავდექი და მივედი და ვუთხარი იმ მცველს:,,მხოლოდ მე შემიშვი, რათა ვიხილო მისი ჭრილობები“.ხოლო მან მითხრა მე:,,რომ გაიგოს და მომკლას?".და მე ვუთხარი მას:,,უბედურო, განა მისი გაზრდილი არ ხარ? და თუნდაც მოგკლავს მისთვის,რა მოხდა?!“ მაშინ შემიშვა მე ფარულად. |
| და ვითარ შევედ შინა, ვიხილე ხატი მისი დაბძარული და განსივებული, და აღუტევე ჴმაჲ და ვტიროდე. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „ნუ სტირ ჩემთჳს, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამჱ ესე“. და მე ვარქუ წმიდასა შუშანიკს: „მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალთა შენთა შთახეულ არს, და სალბუნი და წამალი დაგდვა, რაჲთა ჰე, ღა-მე თუ განიკურნო“. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „ხუცეს, მაგას ნუ იტყჳ, რამეთუ სისხლი ესე განმწმენდელ არს ცოდვათა ჩემთაჲ“. | როდესაც შევედი და შუშანიკის დამსკდარ–დახეთქილი სახე ვიხილე, ამოვუშვი ხმა და ავტირდი. ხოლო წმინდა შუშანიკმა მითხრა:,,ნუ სტირი ჩემთვის, რადგან ეს ღამე სიხარულის დასაწყისად მექცა".და მე ვუთხარი წმინდა შუშანიკს: ,,მიბრძანე და მოგბან სისხლიან პირს და ნაცარს, რომელიც შენს თვალებს შეჰყრია და წამალს და მალამოს დაგადებ, იქნებ ღამე განიკურნო“.ხოლო წმინდა შუშანიკმა მითხრა:,,ხუცესო, ამას ნუ იტყვი, რადგან ეს სისხლი ჩემი ცოდვების განმწმენდია“. |

| | |
|---|---|
| ხოლო მე მცირედ ვაიძულე მიღებად ჭამადი, რომელი მოეძღუანა სამოელ ეპისკოპოსსა და იოვანეს, რამეთუ ფარულად იღუწიდეს და ნუგეშინის-სცემდეს. მაშინ მრქუა მე წმიდამან შუშანიკ: „ხუცეს, ვერ ძალ-მიც გემოჲს-ხილვად, რამეთუ ყბანი და ზოგნი კბილნი შთამუსრვილ არიან“. მაშინ მივიღე მცირედ ღჳნოჲ და პური დავალბე და მცირედ გემოჲ იხილა. და მე ვისწრაფდი გამოსლვად. | მე  ვაიძულე ცოტა მაინც ეჭამა საჭმელი, რომელიც სამოელ ეპისკოპოსსა და იოანეს გამოეგზავნათ, რადგანაც ფარულად ზრუნავდნენ და ანუგეშებდნენ დედოფალს. მაშინ მითხრა წმინდა შუშანიკმა:,,ხუცესო, ჭამა არ შემიძლია , რადგან ყბები და ზოგი კბილი ჩამტვრეული მაქვს".მაშინ ავიღე ცოტაოდენი ღვინო, პური  ჩავალბე  და ცოტა ჭამა.მე გამოსვლას ვჩქარობდი. |
| მაშინ მრქუა მე წმიდამან შუშანიკ: „ხუცეს, მიუძღუანოა საკაული ესე მისი, ნუუკუე ითხოვდეს, რამეთუ მე ამას ცხორებასა არღარა მეჴმარების!“ ხოლო მე ვარქუ: „ნუ რას ისწრაფი, იყოს შენ თანა“. | მაშინ მითხრა წმინდა შუშანიკმა:,,ხუცეს, გავუგზავნო  მისი სამკაულები? ეგებ ითხოვდეს, რადგან მე ამ ცხოვრებაში აღარ დამჭირდება“. ხოლო მე ვუთხარი: ,,ნუ ჩქარობ, დაიტოვე“. |
| და ჩუენლა ამას განვიზრახევდით, მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა: „იაკობ მანდა არსა?“ და მე ვარქუ, ვითარმედ: „რაჲ გინებს?“ და მან მრქუა: „უწესს პიტიახში. და მე დამიკჳრდა, თუ რაჲსა-მე მიწესს ამას ჟამსა?! და მივისწრაფე და მივედ და მან მრქუა მე: „უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა? და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო. ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს, იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი. მივედ და მომართუ იგი ყოველივე, რაჲცა-რაჲ არს!“ | როდესაც ამაზე ვსაუბრობდით,მოვიდა ერთი ახალგაზრდა და იკითხა:,,იაკობი მანდ არის?“ მე ვუთხარი:,,რა გინდა?" მან მითხრა:,,პიტიახში უხმობს".და მე გამიკვირდა, რისთვის მიხმობს ამ დროს-მეთქი,  და სწრაფად გავეშურე და მივედი. მან მითრა:,,იცი, ხუცესო? მე ჰუნებთან საბრძოლველად მივდივარ. და ჩემი სამკაულები  მას არ დაუტოვო, როდესაც  ის ჩემი ცოლი აღარ არის. გამოჩნდება ვინმე, რომელიც მას გამოიყენებს. მიდი და მომართვი ყოველივე,რაც კი რამ არის“. |
| ხოლო მე მივედ და უთხარ წმიდასა შუშანიკს. ხოლო მან განიხარა ფრიად და მადლი მისცა ღმერთსა და ყოველივე მომიძღუანა. და მივართუ პიტიახშსა და მან მიილო ჩემგან, | მე მივედი და ვუთხარი ყოველივე წმინდა შუშანიკს, ხოლო მან გაიხარა დიდად და ღმერთს მადლობა შესწირა და ყველაფერი |

| | |
|---|---|
| აღიხილნა და იპოვა ყოველი გებულად. და კუალად თქუა: „მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეამკოს“. | მომცა. და მივართვი პიტიახშს. მან გამომართვა, დაათვალიერა და იპოვა ყოველივე უდანაკლისოდ. და ისევ თქვა: ,,გამოჩნდება ვინმე, რომელსაც ესენი შეამკობს“. |
| VIII თავი<br><br>და ვითარცა მოიწინეს დიდნი იგი მარხვანი, მივიდა ნეტარი იგი შუშანიკ მახლობელად წმიდასა ეკლესიასა და იძია მცირჱ სენაკი და მუნ დაეყუდა. და იყო სენაკსა მას მცირჱ სარკუმელი და დაყო იგი. და იყო ბნელსა მას შინა მარხვით და ლოცვით და ტირილით. და ჰრქუა ვინმე პიტიახშსა საკუთარმან მისმან, ვითარმედ: „ამათ წმიდათა მარხვათა ნუ რას ერტყჳ მას“.<br><br>და ვითარ მოიწია აღვსებისა ორშაბათი და მოვიდა პიტიახში ბრძოლისა მისგან ჰონთაჲსა, ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა. და აღდგა და მივიდა ეკლესიად და ეტყოდა ეპისკოპოსსა მას აფოცს: „გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან?“ და იწყო გინებად და გმობად ღმრთისა სასტიკად. ხოლო ხუცესმან ერთმან ჰრქუა მას: „უფალო, რაჲსა ეგრე იქმ, და იტყჳ ეგრეთ ბოროტსა და აგინებ ეპისკოპოსსა, და წმიდასა შუშანიკს რისხვით ეტყჳ?“ ხოლო მან უხეთქნა კუერთხითა ხუცესსა მას ზურგსა. და მან ვერღარა იკადრა სიტყუად.<br><br>და ეგრეთ წმიდაჲ შუშანიკ თრევით მოითრია თიკათა შიგან და ეკალთა ზედა ეკლესიით ვიდრე ტაძრადმდე, ვითარცა მკუდარი, მიერთრია; და ადგილდ-ადგილდ ქუე ძეძჳ დაეფინა. და თჳთ ფერჴნი დაიდგნის ძეძუსა მას ზედა, და კუბასტნი შუშანიკისნი და ჴორცნი | VIII თავი<br><br>როგორც კი მოახლოვდა დიდმარხვა, ნეტარი შუშანიკი მივიდა ახლოს მდებარე წმინდა ეკლესიაში და პატარა სენაკი მოიძია და იქ შედგა. იმ სენაკს პატარა სარკმელი ჰქონდა და ამოქოლა. და იყო იქ ბნელში მარხვით, ლოცვით და ტირილით. უთხრა პიტიახშს ერთმა მისმა ახლობელმა:,,ამ წმინდა მარხვის დროს ნურაფერს ეტყვი მას“.<br><br>და როგორც კი მოახლოვდა აღდგომის ორშაბათი და დაბრუნდა პიტიახში ჰონების წინააღმდეგ ბრძოლიდან, ეშმაკი გულს უთხრიდა. ადგა და მივიდა ეკლესიაში და ეპისკოპოს აფოცს ეუბნებოდა:,,დამიბრუნე ჩემი ცოლი, რატომ მაშორებ მას?“ და დაიწყო სასტიკი გინება და ღმერთის გმობა. ხოლო ერთმა ხუცესმა უთხრა მას:,,ბატონო, რატომ იქცევი ასე, და ლაპარაკობ ცუდს და აგინებ ეპისკოპოსსა და რისხვით ელაპარაკები წმინდა შუშანიკს?" ხოლო მან კვერთხი ჩაარტყა მღვდელს ზურგში და ისიც დადუმდა.<br><br>და ასე, წმინდა შუშანიკი თრევით ათრია ტალახში და ეკლებზე ეკლესიიდან ვიდრე სახლამდე, როგორც მკვდარი. ალაგ-ალაგ ეკალბარდი დაეფინა. თვითონ ფეხს ადგამდა ეკალბარდს, შუშანიკის სამოსელი და ხორცი |

| | |
|---|---|
| წულილ-წულილად დაებძარნეს ძეძუსა მას. და ეგრეთ მოიყვანეს იგი ტაძრად. | კი ე წვრილ-წვრილად დაიგლიჯა იმ ეკალბარდებზე. და ასე მოიყვანეს ის სასახლეში. |
| და უბრძანა შეკრვაჲ მისი და ცემაჲ. ბოროტებდა და იტყოდა: „აჰა, ეგერა, არა გერგო შენ ეკლესიაჲ შენი და არცა ზურგნი ეგე შენნი ქრისტიანენი, და უფალი იგი მათი!“ | და ბრძანა მისი შებოჭვა და ცემა. გაბოროტებული იყო და ამბობდა:,,აი, ეგრე, არ გამოგადგა შენი ეკლესია და არც შენი ზურგის გამმაგრებელი ქრისტიანები, და არც მათი უფალი. |
| და ვითარცა სცეს კუერთხსა სამას ოდენ, არა რაჲ აღმოჴდა პირსა მისსა ვაებაჲ, არცა კუნესაჲ. მაშინღა ჰრქუა წმიდამან შუშანიკ ურჩულოსა ვარსქენს: „უბადოო, შენღა თავი თჳსი არა შეიწყალე და განსდეგ ღმრთისაგან, შენ მემცა შემიწყალეა?!“ | და როდესაც სამასჯერ დაარტყეს ჯოხი, მის პირს არ ამოხდომია არანაირი ვაება, არცა კვნესა.. მაშინღა უთხრა შუშანიკმა ურჯულო ვარსქენს:,,უბედურო, შენ საკუთარი თავი არ შეიწყალე და ღმერთს განუდექი და მე შემიწყალებ?“ |
| და ვითარცა იხილა დიდძალი იგი სისხლი, რომელ დამოსდიოდა ჩჩჳლთა მათ ჴორცთა მისთა, მაშინ უბრძანა დადებაჲ ჯაჭჳ ქედსა მისსა. და უბრძანა სენეკაპანსა ერთსა, რაჲთა წარიყვანონ წმიდაჲ შუშანიკ ციხედ და საპყრობილესა ბნელსა შეაყენონ იგი, და მოკუდეს | და როდესაც იხილა დიდძალი სისხლი, რომელიც შუშანიკს სათუთი სხეულიდან სდიოდა, მაშინ ბრძანა მისთვის კისერზე ჯაჭვის დადება, და უბრძანა ერთ სენაკაპანს, შუშანიკი ციხეში წაეყვანათ და ბნელ საპყრობილეში ჩაეგდოთ, რათა მომკვდარიყო. |

| | |
|---|---|
| IX. | IX თავი |

| | |
|---|---|
| დიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისაჲ დგა წმიდისა შუშანიკის თანა მას ჟამსა, რომელსა გამოჰყვანდა იგი ტაძრით, და უნდა, რაჲთამცა ჰრქუა, თუ: „მტკიცედ დეგ!“ და თუალი ჰკიდა პიტიახშმან, სხუაჲ ვერღარაჲ სცალდა სიტყუად, ესთენ ოდენ ჰრქუა: „მტკი...“ და დადუმნა ხოლო და სივლტოლად იწყო სწრაფით. | ეპისკოპოსის ერთი ვინმე დიაკვანი წმინდა შუშანიკთან იდგა იმ დროს, როცა იგი სასახლიდან გამოჰყავდათ, და უნდოდა, ეთქვა: ,,მტკიცედ დეგ"!, თვალი მოჰკრა პიტიახშმა და სხვის თქმა აღარ დასცალდა, მხოლოდ ესღა თქვა: "მტკი"... და დადუმდა და სწრაფად გაიქცა. |
| მაშინ წარმოიყვანეს და მოჰყვანდა წმიდაჲ შუშანიკ უჴამური და თმაგარდატევებული, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი, და ვერვინ იკადრა თავდა მისსა დაბურვად, რამეთუ პიტიახში იგი მჴედრ შეუდგა უკუანა კუალსა მისსა და აგინებდა მას მრავლითა გინებითა. | მაშინ წამოიყვანეს და მოჰყავდათ წმინდა შუშანიკი ფეხშიშველი და თავდაუბურავი, როგორც ერთი ვინმე მდაბიოთაგანი და ვერავინ გაბედა მისთვის თავზე დაებურა, რადგან ცხენზე ამხედრებული პიტიაშში უკან მისდევდა მის კვალს და აგინებდა უშვერად. |
| და მივიდოდა წმიდისა მის თან ამბოხი მრავალი დედებისა და მამაბისაჲ, სიმრავლჱ ურიცხჳ, რამეთუ უკუანა შეუდგეს, ჴმაჲ აღემაღლა და ტიროდეს და იჭაჭდეს ღაწუთა მათთა და საწყალობელად დასთხევდეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშანიკისთჳს. | წმინდა შუშანიკს თან მისდევდა დიდძალი რაოდენობა ქალებისა და კაცებისა, სიმრავლე ურიცხვი, უკან მიჰყვებოდნენ, ხმა აემაღლებინათ და ტიროდნენ, ლოყებს იხოკდნენ და სიბრალულის ცრემლს ღვრიდნენ წმინდა შუშანიკისთვის. |
| ხოლო წმიდამან შუშანიკ უკმოჰხედნა ერსა მას და ჰრქუა მათ: „ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომიჴსენეთ. და ჯმნულმცა ვარ მე თქუენგან ამიერითგან, რამეთუ არღარა მიხილოთ ცოცხალი გამოსრული ციხით“. | წმინდა შუშანიკმა გამოხედა უკან მომავალ ხალხს და უთხრა მათ:,,ნუ ტირით, ძმანო ჩემნო, დანო ჩემნო და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვაში მომიხსენიეთ. და ამიერიდან გშორდებით, რადგან ციხიდან ცოცხლად გამოსულს ველარ მნახავთ“. |
| | და როდესაც ნახა პიტიანშმა დიდძალი ხალხი, ტირილი ქალებისა თუ კაცებისა, |

| | |
|---|---|
| და ვითარცა იხილა პიტიახშმან ამბოხი იგი და ტირილი მამათა და დედათაჲ, მოხუცებულთა და ყრმათაჲ, მჴედრ მიმოდასდევნინ და მეოტ-ჰყოფნ მათ ყოველთა. და ვითარცა მიიწინეს ჴიდსა მას ციხისასა, ჰრქუა პიტიახშმან წმიდასა შუშანიკს: „შენდა ეგდენ ყოფად არს ფერჴითა შენითა სლვაჲ, რამეთუ ცოცხალი არღარა გამოსლვად ხარ, გარნა თუ ოთხითა გამოგიღონ“. | მოხუცებულებისა და ახალგაზრდებისა, ცხენზე ამხედრებული დასდევდა და აქეთ-იქით ფანტავდა მათ. როდესაც ციხის ხიდს მიუახლოვდნენ, უთხრა პიტიახშმა წმინდა შუშანიკს: ,,შენ ეგლა დაგრჩა ფეხით სავალი, რადგან იქიდან ცოცხალი ველარ გამოხვალ, არამედ ოთხით გამოგიტანენ“. |
| და ვითარცა შევიდეს ციხედ, პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოჲთ კერძო, მცირჱ და ბნელი, და მუნ შეაყენეს წმიდაჲ იგი. და ჯაჭჳ იგი, რომელ ედვა ქედსა მისსა ზედა, ეგრეთვე ედვა, და დაჰბეჭდა ურჩულომან ვარსქენ ბეჭდითა თჳსითა. ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: „მე ამას მხიარულ ვარ, რაჲთა აქა ვიტანჯო და მუნ განვისვენო“. ხოლო პიტიახშმან ჰრქუა მას: „ჰე, ჰე, განისუენე!“ | და როდესაც ციხეში შევიდნენ, ჩრდილოეთის მხარეს ერთი პატარა და ბნელი ოთახი ნახეს და იქ დაამწყვდიეს წმინდა შუშანიკი. ის ჯაჭვი, რომელიც მას კისერზე ედო, ისევე ედო და ურჯულო ვარსქენმა თავისი ბეჭდით დაბეჭდა . ხოლო წმინდა შუშანიკმა თქვა:,,მე ეს მიხარია, რადგან აქ დავიტანჯები და იქ დავისვენებ“.ხოლო პიტიახშმა უთხრა მას:,,ჰო,ჰო, განისვენე!“ |
| მაშინ დაადგინნა მცუელნი მის ზედა და ამცნო მათ, რაჲთა სიყმილითა მოკლან იგი. და ესრეთ ეტყოდა მათ: „გეტყჳ თქუენ, უკუეთუ ვინმე შევიდეს მისა, მამაკაცი, გინა დედაკაცი, იხილენით თავნი თქუენნი და ცოლნი და შვილნი და სახლნი თქუენნი! უბრალომცა ვარ, რაჲ გიყო თქუენ!“ მაშინ გამოვიდა ციხით. | მაშინ დააყენა მისი მცველნი და გააფრთხილა ისინი, რომ შიმშილით მოეკლათ იგი. და ასე ეუბნებოდა მათ: ,,გეუბნებით თქვენ, თუ მასთან ვინმე შევა, გინდ მამაკაცი, გინდ დედაკაცი, ნახეთ თავი თქვენი, ცოლნი და შვილნი და ოჯახი თქვენი! ჩემი ბრალი არ იქნება, რასაც გიზამთ“. მერე გამოვიდა ციხიდან. |

| X თავი | X თავი |
| --- | --- |
| და მესამესა კჳრიაკესა მოუწოდა მცველსა ერთსა, და ჰკითხა მას და ჰრქუა: „აქამომდე ცოცხალღა არსა საწყალობელი იგი?“ ხოლო მან ჰრქუა: „უფალო, სიკუდილდ კერძო უფრო საგონებელ არს, ვიდრე სიცოცხლით, რამეთუ შიმშილითა უფროჲს ხოლო მოკუდების, რამეთუ არა რას მიიღებს საზრდელსა“. ხოლო მან ჰრქუა: „ნურა რაჲ გგლიან, უტე, მოკუდეს!“ | მესამე კვირას ერთ მცველს მოუხმო და ჰკითხა მას და უთხრა:: ,,აქამდე ცოცხალია ის საწყალი?“ ხოლო მან უპასუხა: ,,ბატონო, სიკვდილისაკენ უფრო საფიქრებელია, ვიდრე სიცოცხლისკენ, რადგან შიმშილით უფრო მოკვდება, რადგანაც საზრდოს არას იღებს“. ხოლო მან უთხრა: ,,ნუ გენაღვლებათ, დაე, მოკვდეს!“. |
| ხოლო მე მრავლითა ვედრებითა ვარქუ მცველსა მას და უქადე ჭურჭერი ერთი სამისოჲ. და ძნიად თავს-იდვა შეტევებაჲ ჩემი და მრქუა მე: „რაჟამს დაღამდეს, მოვედ შენ ხოლო მარტოჲ“. და ვითარ შემიყვანა მცველმან მან და ვიხილე ტარიგი იგი ქრისტესი შუენიერად, ვითარცა სძალი, შემკული საკრველთა მათგან, და მე ვითარ ვერ დამითმო გულმან, ვტიროდე ფრიად. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „კეთილისა ამისთჳს სტირა, ხუცეს?“ ხოლო მცველმან მან მრქუა მე: „ესეღა თუმცა მეცნა, არამცა შემოგიტევე შენ“. ხოლო მე ვიწყე სიტყუად და განმტკიცებად მისა, რავდენი ღმერთმან მომცა მე სიტყუად. და ვიჯმენ მისგან და წარვედ სწრაფით ვანად ჩემდა. | ხოლო მე ბევრი ვედრებით ვუთხარი მცველს და საჩუქრად ერთ სამისო ნივთს შევპირდი.. და ძლივს გადაწყვიტა ჩემი შეშვება და მითხრა: ,,როგორც კი დაღამდება, მხოლოდ შენ მოდი“. როდესაც მცველმა შემიყვანა და დავინახე მშვენიერი  კრავი ქრისტესი, როგორც სარძლო, იმ ბორკილებით შემკული, მე გულმა ვერ მომითმინა, მწარედ ვტიროდი. ხოლო წმინდა შუშანიკმა მითხრა: ,,ამ სიკეთის გამო სტირი, ხუცესო?“ ხოლო მცველმა მე მითხრა: ,,ეს რომ მცოდნოდა, არ შემოგიშვებდი“. ხოლო მე დავიწყე საუბარი მის გასამხნევებლად, რამდენის საუბრის ძალაც მომცა ღმერთმა. და წამოვედი მისგან და სწრაფად გავეშურე ჩემი სახლისაკენ. |
| ხოლო პიტიახში ჩორდ წარემართა. და ჯოჯიკ, ძმაჲ მისი, არა დახუდა, ოდეს საქმჱ ესე იქმნა წმიდისა შუშანიკისა ზედა. და ვითარ მოიწია ჯოჯიკ, უკუანა სდევდა პიტიახშსა. და მიეწია მას საზღვართა ჰერეთისასა, და ევედრებოდა მას ფრიად, რაჲთამცა ბრძანა საკრველთა მათგან განტევებაჲ მისი. და ვითარ ფრიად აწყინა, ბრძანა განტევებაჲ საკრველთაგან ოდენ. და ვითარ მოვიდა ჯოჯიკ, აღჰკადა ჯაჭჳ იგი ქედსა მისსა, ხოლო ბორკილთაჲ არა | ხოლო პიტიახში ჩორდში წავიდა.  მისი ძმა ჯოჯიკი,  არ შესწრებია, რა ამბავიც გადახდა შუშანიკის თავს. როდესაც მოვიდა ჯოჯიკი, უკან დაედევნა პიტიახშს და ჰერეთის საზღვრთან  დაეწია მას და ძალიან ევედრებოდა, რომ შუშანიკი ბორკილებისაგან გაეთავისუფლებინა. როდესაც ძალიან შეაწუხა, ბრძანა მხოლოდ ბორკილების მოხსნა. |

| | |
|---|---|
| თავს-იდუა წმიდამან შუშანიკ ვიდრე აღსასრულამდე მითურთ.<br><br>რამეთუ ექუსი წელი ციხესა მას შინა აღესრულა და წესიერებითა საღმრთოჲთა ყუაოდა: მარხვითა მარადის, მღჳძარებითა, ზედგომითა, თაყუანის-ცემითა უწყინოდ და კითხვითა წიგნთაჲთა მოუწყინებელად: განაბრწყინა და განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა. | როდესაც ჯოჯიკი დაბრუნდა, ყელზე ჯაჭვი მოხსნა მას, ხოლო ბორკილების მოხსნა თავის სიკვდილამდე არ ისურვა წმინდა შუშანიკმა.<br><br>ექვსი წელი იმ საპყრობილეში შესრულდა და საღვთო ცხოვრების წესით ყვაოდა: მუდამ მარხვით, სიფხიზლით, ფეხზემდგარი, განუწყვეტლივ თაყვანისცემითა და წიგნების მოუწყინებლად კითხვით. გაანათა და გაამშვენიერა მთელი ციხე სულიერი ქნარით. |
| XI თავი<br><br>და მიერითგან განითქუა ყოველსა ქართლსა საქმჱ მისი. და მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნათქუემთა შესაწირად და, რაჲ ვის უჴმდა, მიემადლებოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისითა, რომელსა მისცემდა მას კაცთმოყუარე ღმერთი: უშვილოთა – შვილი, სნეულთა – კურნება, ბრმათა – თუალთა ახილვაჲ.<br><br>იყო ვინმე დედაკაცი ერთი სპარსი მოგჳ, რომელსა განბორებისა სალმობაჲ აქუნდა. და მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკისა, ხოლო იგი ასწავებდა მას, რაჲთამცა დაუტევა მოგობაჲ იგი და იქმნა ქრისტიანე. ხოლო დედაკაცმან მან თავს-იდვა ადრე-ადრე. და იგი ასწავებდა დედაკაცსა მას და ეტყოდა, ვითარმედ: „მივედ იერუსალჱმდ და განსწმიდნე განბორებისა მისგან შენისა“. და მან გულსმოდგინედ შეიწყნარა და წარემართა გზასა მას სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა. და განიკურნა იგი სალმობისა მისგან. და ვითარ გარემოიქცა იგი სიხარულითა დიდითა და | XI თავი<br><br>იმიერიდან მთელ ქართლს მოეფინა მისი ამბავი. და მოდიოდნენ მასთან მამაკაცები და დედაკაცები დანაპირების შესაწირად და, ვისაც რა სჭირდებოდა, მიემადლებოდათ ნეტარი შუშანიკის წმინდა ლოცვით, რომელსაც მას აძლევდა კაცთმოყვარე ღმერთი: უშვილოებს – შვილი, სნეულთ – კურნება, ბრმებს – მხედველობა.<br><br>.<br><br>იყო ერთი ვინმე ცეცხლთაყვანისმცემელი სპარსი დედაკაცი, რომელსაც კეთრი ჰქონდა და მოვიდა იგი წმინდა შუშანიკთან, ხოლო იგი ასწავლიდა მას, რომ დაეტოვებინა ცეცხლთაყვანისმცემლობა და ქრისტიანად შერაცხულიყო. ხოლო დედაკაცი მას მალევე დათანხმდა. იგი ასწავლიდა იმ დედაკაცს და ეუბნებოდა: ,,წადი იერუსალიმში და განიკურნები კეთრისაგან.“ მან გულით ირწმუნდა და გაუდგა იმ გზას ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, სახელით, და განიკურნა ის თავისი სნეულებისაგან. როცა დიდი სიხარულით უკან დაბრუნდა და მოაღწია |

| | |
|---|---|
| მოიწია მუნვე, მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკისა მადლისა გარდაჳდად და წარვიდა სახიდ თჳსა სიხარულით განმრთელებული. | აქამდე, მოვიდა წმინდა შუშანიკთან მადლობის გადასახდელად და თავის სახლში სიხარულით წავიდა განკურნებული. |
| XII თავი<br><br>ხოლო წმიდამან შუშანიკ ნაცვლად ჭიჭნაუხტისა საქმისა დიდითა გულსმოდგინებითა ჳელთა აღიხუნა დავითნი და მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა, რომლითა-იგი დღჱ და ღამჱ ზესკნელითა მის მეუფისა მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით.<br><br>და უთხრეს ნეტარსა შუშანიკს, ვითარმედ: „შვილნი იგი შენნი მოაქცინა მოგობასა“. მაშინ იწყო თაყუანის-ცემად ღმრთისა მიმართ ტირილითა დიდითა და თავსა თჳსსა ქუე დამართ სცემდა, სულთ-ითქუნა და თქუა: „გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ იყვნესვე არა ჩემნი, არამედ შენნი მოცემულნი იყვნეს. ვითარცა გნებავს, იყავნ ნებაჲ შენი, უფალო, და დამიცევ მე საქმეთაგან მტერისათა“.<br><br>და მე მივედ და ვიხილე წმიდაჲ შუშანიკ დამშრშალი და დაბუშებული ტირილითა. და მოეძღუანა წმიდასა მას ეპისკოპოსსა საზრდელი, და ვითარ ფრიად ვაიძულე, მცირედ ოდენ გემო იხილა და ვჰმადლობდით ღმერთსა. და ვიდრე მუნ ჟამამდე მოვიდიან შვილნი იგი მისნი ხილვად დედისა თჳსისა, ხოლო რაჟამს მიექცნეს და უვარ-ყვესცა ღმერთი, ვერღარა | XII თავი<br><br>ხოლო წმინდა შუშანიკმა, ნაცვლად აბრეშუმზე ქარგვისა, დიდი გულმოდგინებით აიღო დავითნი და რამდენიმე დღეში ასორმოცდაათი საგალობელი დაისწავლა, რომლითაც იგი დღედაღამ ზენსკელის მეუფის მიმართ სათნო გალობას აღავლენდა ცრემლით.<br><br>უთხრეს ნეტარ შუშანიკს, რომ: ,,შენი შვილები მოაქცია წარმართად“. მაშინ დაიწყო ღმრთის მიმართ დიდი ტირილით ლოცვა და თავს მიწაზე ურტყამდა, ამოიკვნესა და თქვა: ,,გმადლობ, უფალო ღმერთო ჩემო, რადგანაც ისინი არა ჩემი, არამედ შენი მოცემულნი იყვნენ. როგორც გნებავს, იყოს ნება შენი, უფალო, და მე დამიცავი ეშმაკის საქმეებისაგან”.<br><br>მე მიველი და ვნახე წმინდა შუშანიკი , ჩამომხმარი და ტირილით დაოსებული. წმინდა ეპისკოპოსს საჭმელი გამოეგზავნა და რადგან ძალიან ვაიძულე, მცირედი რამ შეჭამა და ვემადლიერებოდით უფალს. იქამდე შვილები თავიანთი დედის სანახავად მოდიოდნენ, ხოლო რაც მიექცნენ და ღმერთი უარყვეს, ვერ გაბედეს მისი ნახვა, რადგანაც მათი სახელის გაგონებაც არ უნდოდა. |

| | |
|---|---|
| იკადრეს ხილვად მისა, არამედ სახელიცა მისი სძაგდა სმენად. | |
| XIII თავი<br><br>და მერმე მოციქულნი მოავლინნა პიტიახშმან და ჰრქუა: „ანუ ნებაჲ ჩემი ყავ და მოვედ ტაძრად, უკუეთუ არა მოხჳდე შინა, ჩორდ წარგცე შენ, ანუ კარად, კარაულითა“. ხოლო წმიდამან შუშანიკ მიჰრუქა ესრეთ: „უბადოვო და უგულისხმოვო, ხოლო მე თუ კარად, ნუ ჩორდ წარმცე, ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რასმე შევემთხჳო და ბოროტსა ამას განვერე“. და გულსა ეტყოდა პიტიახში იგი სიტყუათა მათთჳს, ვითარ-იგი ჰრქუა მას, ვითარმედ: - ვინ უწყის, თუ კეთილსა რასმე მივემთხჳო, - ვითარმედ ნუუკუე მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს, და მიერითგან არღარავინ მიავლინა მისა. ხოლო წმიდაჲ შუშანიკ ბოროტთა მათ გუემათა დათმენათათჳს იტყოდა, რაჲთამცა სათნო-ეყო ღმერთსა. | XIII თავი<br><br>პიტიახშმა შემდეგ შუაკაცები გამოგზავნა და თქვა:,,ან ჩემი ნება შეასრულე და სასახლეში მოდი. თუ არ მოხვალ შინ, ჩორდში გაგგზავნი, ან -სამეფო კარზე ვირით“.ხოლო წმინდა შუშანიკმა ასე შეუთვალა:,,უბედურო და უგუნურო, მე თუ სამეფო კარზე ან ჩორდში გამგზავნი, ვინ იცის, იქნებ იქ რაიმე სასიკეთოს გადავეყარო და ამ ბოროტებას განვეშორო“. გულში ამბობდა პიტიახში იმ სიტყვების გამო, რომლებიც შემოუთვალა:,,ვინ იცის, იქნებ სასიკეთოს რამეს გადავეყაროო“, რომ ,,ეგებ ვინმე მთავართაგანს გაჰყვეს ცოლად“. და ამის შემდეგ არავინ მიუგზავნია მასთან. ხოლო წმინდა შუშანიკი ამას ბოროტებით ტანჯვის მოთმენის გამო ამბობდა, რომ ღმრთის მოსაწონი ყოფილიყო. |
| ხოლო პიტიახშმან გამოირჩია ძუძუჲსმტე მისი საკუთარი, რაჲთა მოიყვანოს იგი ტაძრად. და ვითარცა ჰრქუა კაცმან მან: „ისმინე ჩემი და ჩამოვედ ტაძრად, და ნუ აოჴრებ სახლსა მას თქუენსა“, ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ: „არქუ მას ულმრთოსა, ვითარმედ: „შენ მომკალ და მარქუ მე: ცოცხალიღა ფერჴითა არა გამოხჳდე შენ მაგიერ ციხით. ხოლო აწ, უკუეთუ შემძლებელ ხარ მკუდარსა აღდგინებადმ პირველად დედაჲ შენი აღადგინე, რომელი ურდს დამარხულ არს, გარნა თუ მისა ვერ შემძლებელ ხარ აღდგინებად, ვერცა ჩემდა შემძლებელ ხარ განყვანებად, გარნა თრევით | პიტიახშმა აარჩია თავისი მახლობელი ძიძიშვილი, რომ სასახლეში მოეყვანა იგი და როცა იმ კაცმა უთხრა:,,შეისმინე ჩემი და ჩამოდი სასახლეში, ნუ აუბედურებ თქვენს სახლს“.წმნიდა შუშანიკმა უთხრა მას:,,უთხარი იმ ულმერთოს, რომ : ,,შენ მომკალი და მითხარი, შენი ფეხით ცოცხალი ვერ გამოხვალ მაგ ციხიდან“. ხოლო ახლა, თუკი მკვდრის გაცოცხლება შეგიძლია, ჯერ შენი დედა გააცოცხლე, რომელიც ურდშია დამარხული. მაგრამ თუ მისი გაცოცხლება არ შეგიძლია, ვერც ჩემს გაყვანას შეძლებ აქედან, თუ არ |

| | |
|---|---|
| განმითრიო“.და ვითარცა მიუთხრა პიტიახშსა სიტყუაჲ იგი, მან თქუა: „ნანდჳლვე ვთქუ ეგე“.<br><br>და მეორესა დღესა შემო–ვინმე–ვიდა და ჰრქუა წმიდასა შუშანიკს: „კეთილად მიუგე მას სიტყუაჲ იგი, რამეთუ მაგით სახით ეგულვებოდა შეტყუვილი შენი, და მას სხუაჲ ზრახვაჲ გულსა მოეკადა სიბოროტისაჲ შენთჳს“. წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მას: „და შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს, რომელმან განუმზადნის სიტყუანი პირსა კაცისასა. რამეთუ იტყჳს თჳთ უფალი: „მე მიუგო სიტყუაჲ თქუენ წილ“. | გამათრევ. და როცა პიტიახშს მოუთხრო ეს სიტყვები, მან თქვა:,,ნამდვილად ვთქვი ეს“.<br><br>მეორე დღეს ვილაც შემოვიდა და უთხრა წმინდა შუშანიკს:,,კარგი პასუხი გაეცი მას, რადგანაც ამით შენი მიტყუება უნდოდა და სხვა მზაკვრობა ჰქონდა მოფიქრებული შენთვის“.წმინდა შუშანიკმა მიუგო მას:,,შენ ღმერთი მძინარე ნუ გგონია. ღმერთი განუმზადებს ადამიანებს სიტყვებს გამოსათქმელად, რადგანაც თვითონ უფალი ამბობს:,,თქვენ მაგივრად მე გავცემ პასუხს“. |
| XIV თავი<br><br>და ვითარცა აღივსებოდა მეექუსე იგი წელი საპყრობილესა მას შინა, ჯეკმა დამაშურალობითა შრომათა მათ შინა სიმკნისა მისისათა სენი სნეულებისაჲ მოიწია მას ზედა, რომელსა–იგი წინასწარ–ულაღადებდი და ვეტყოდე, ვითარმედ: „ნუ ჯეკმა, რამეთუ დაუმძიმებ კორცთა მაგათ ზედა, რამეთუ ვერ დაგითმონ და მერმე ვერღარას შემძლებელ იყო ყოფად რასმე საქმედ კეთილსა ეგოდენითა მაგით ფიცხლად მარხვითა და მარადის ზედგომითა და ღამე ყოველ დაშრომითა, ფსალმუნებითა და გალობითა“. და არცაღა მცირედ სადა სცა კორცთა მისთა განსუენებაჲ, და შეიქმნა და დაღნა, ვითარცა ავლი.<br><br>ხოლო დიდთა მათ მარხვათა ალუსებისათა ერგასისთა მათ დღეთა ექუსთა წელთა შინა, არცა დღისი, არცა ღამე არა დაჯდის ქუე, არცა დაიძინის, არცა საჭმელი რაჲ მიიღის, გარნა დღესა ხოლო კჳრიაკესა ეზიარა კორცსა და | XIV თავი<br><br>და როდესაც საპყრობილეში ყოფნიდან მეექვსე წელი სრულდებოდა, დიდი გვემისა და განსაცდელის ატანამ იგი დაასნეულა, რასაც წინასწარ ვულაღადებდი და ვეუბნებოდი: ,,მეტისმეტად ნუ, რადგანაც დაიმძიმებ ხორცს, რადგან ამ ტანჯვას ვერ გაუძლებს და მერე კეთილი საქმისთვის ძალა არ გეყოფა ამდენი მკაცრი მარხვით, მუდამ ფეხზე დგომითა და ყოველ ღამე უძილობით, სალმუნებითა და გალობით“. და მცირე ხნითაც არც უცდია სხეულის მოსვენება და ძლიერ გახდა, დაღნა, როგორც ფერფლი.<br><br>აღდგომის დიდი მარხვის ორმოცდაათი დღე, ექვსი წლის განმავლობაში, არც დღისით, არც ღამით არ ჯდებოდა, არც იძინებდა, არც ჭამდა, მხოლოდ კვირაობით ეზიარებოდა ხორცსა და |

| | |
|---|---|
| სისხლსა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა. და მცირედ ოდენ წუენაკი მსხლისა შექმნული, იგიცა მცირედ, მიიღის, ხოლო პურისა გემო არა იხილის ვიდრე აღუსებადმდე. | სისხლსა ჩვენი ქრისტე ღმერთისა. და ცოტაოდენ მსხლის შენელებულ წვენს თუ დალევდა, მასაც მცირედს, ხოლო აღდგომამდე პურს არ ჭამდა. |
| და მიერ დღითგან, ვინაჲთგან პყრობილ-ყვეს იგი ციხესა მას შინა, სასთაულსა ზედა თავი არა მიდვის, გარნა ალიზაკი ერთი დაიდვის სასთუნალ. და ქუესაგებელად იყო გირჯაკი ერთი ძუელი. და კაცთა თუალსა სასთაულაკი ერთი ხალენისაჲ უცნ სასთუნლით კერძო. და თაყუანის-საცემელად კილიკი ერთი მცირე ქუე წარუგდებიედ. და გრწყილი და ტილი მოუგონებელი ადგილსა მას დასხმულ იყო. | იმ დღიდან, რაც დაატყვევეს საპყრობილეში, ბალიშზე თავს არ დებდა, მხოლოდ აგურს იგებდა სასთუმლად. და ქვეშაგებად ერთი ძველი ქსოვილის ნაგლეჯი ჰქონდა, ხოლო სხვათა თვალის დასანახავად სასთუმლის მხარეს ტყავის მოსასხამი ედო, თაყვანსაცემად-ერთი პატარა ბეწვის ტყავის ნაგლეჯი დაეფინა. და იქაურობას უამრავი რწყილი და ტილი ეხვეოდა. |
| ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი და მჭურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, მკჳდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყჳთლებულნი, დაწერტილნი და დამშრშალნი და დამღიერებულნი, ჩარადღოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხოვრებულნი, და მოხუცებული არა ვინ არს მათ ქუეყანათა. და ესრეთსა მას ციხესა შინა ექუს წელ პყრობილ იყო და მძიმეთა მათ საკრაველთა შინა ადიდებდა ღმერთსა. | ამ ადგილებში ზაფხულში ცეცხლივით მცხუნვარე მზეა, და ცხელი ქარები იცის, წყალი მავნებელია. ადგილობრივები დასნეულებულნი იყვნენ, წყალმანიაკები და გაყვითლებულნი, დაწიწკნულნი და დამჭკნარნი და დამონიანებული, დამუწუკებულნი, პირდასივებულნი და ხანმოკლედ მცხოვრებნი, მოხუცებული არავინ არის იმ მხარეში. ასეთ პირობებში, ექვსი წელი იყო შუშანიკი დატყვევებული და ბორკილდადებული ადიდებდა ღმერთს. |

| | |
|---|---|
| XV თავი<br><br>და ვითარცა მეშჳდე წელი დადგებოდა, მოიწია წმიდისა და სამგზის სანატრელისა შუშანიკის ზედა წყლულებაჲცა ჴორცთა მისთაჲ. და დაუცხრომელად შრომათა მათ გამო დაუსივდეს ფერჴნი მისნი და თხრამლი აღმოსდიოდა ადგილდ-ადგილდ. და წყლულებანი დიდ-დიდნი იყვნეს, და მატლიცა დასხმულ იყო წყლულთა მათ, რომელ-იგი აღიღო ჴელითა თჳსითა, და მიჩუენებდა მე და ჰმადლობდა ღმერთსა და თქუა: „ხუცეს, ნუ მძიმე-გიჩნ ესე, რამეთუ მუნი იგი მატლი უდიდეს არს და არა მოკუდების". | XV თავი<br><br>და როცა მეშვიდე წელი დაიწყო, წმიდა და სამგზის სანატრელ შუშანიკს სხეული დაუწყლულდა. და დაუცხრომელი გარჯის გამო ფეხები დაუსივდა და ალაგ-ალაგ ჩირქი გადმოსდიოდა.. წყლულები დიდ-დიდი იყო და ამ წყლულებზე მატლები ეხვია, რომელიც თავისი ხელით აიღო, მიჩვენებდა და ღმერთს ჰმადლობდა. და თქვა:,,ხუცეს, ნუ გიმძიმს ეს, რადგან იქ მატლი უფრო დიდია და არ კვდება". |
| და მე ვითარცა ვიხილე მატლი იგი, მოუგონებელად დიდად მწუხარე ვიყავ და ვტიროდე ფრიად; კუალად მრქუა მე რისხვით: „ხუცეს, რად მწუხარე ხარ, ვიდრე უკუდავთა მათ მატლთა შეჭმასა უმჯობჱს იყავნ ამათ მოკუდავთა შეჭმაჲ აქავე, ამას ცხოვრებასა". და მე მიუგე და ვარქუ: „ძაძისა სამოსელი მცირედღა შეგერაცხაა საგუემელად? და აწ მატლთა მაგათთჳს მხიარულ ხარ!" და მან მრქუა მე ქენებით: „ნუ ვის თანა იტყჳ ძაძისა სამოსლისათჳს ცხორებასა ჩემსა, რამეთუ ადრე ყოფად არს დატევებაჲ უბადრუკთა ამათ ჴორცთა ჩემთაჲ". რამეთუ შინაგან ძაძა ემოსა, და არავინ იცოდა ჩემსა გარეშე, ხოლო გარეგან კაცთა თუალსა ანტიოქიისა პალეკარტი ემოსა. | და მე, როგორც კი ვიხილე მატლი, წარმოუდგენლად დიდად დავმწუხრდი და ძალიან ვტიროდი. კვლავ მითხრა მრისხანედ:,,ხუცესო, რატომ წუხხარ. უმჯობესია მოკვდავმა მატლმა შეგჭამოს აქ, ამ ცხოვრებაში, ვიდრე იმ უკვდავმა მატლებმა".და მე ვუპასუხე და ვითხარი:,,ძაძის სამოსელს მცირედად მიიჩნევ სატანჯველად? და ახლა მაგ მატლის გამო გიხარია?" მან მითხრა ხვეწნით:,,ნურავისთან იტყვი, ძაძა რომ მაცვია, რადგან მალე მოხდება ჩემი საცოდავი ხორცის დატოვება". რადგანაც შიგნით ძაძა ეცვა, და არავინ იცოდა ჩემ გარდა, ხოლო გარედან სხვების დასანახავად ანტიოქიის უსახელო წამოსასხამი ემოსა. |
| XVI თავი<br><br>და ვითარცა ესმა ჯოჯიკს, ვითარმედ მიახლებულ არს ნეტარი დედოფალი წმიდაჲ შუშანიკ სიკუდილს, წარვიდა და თანაწარიყვანნა ცოლი და შვილნი და მონა-მჴევალნი მისნი და მივიდა ციხედ ხილვად სანატრელისა შუშანიკ | XVI თავი<br><br>როდესაც ჯოჯიკმა შეიტყო, ნეტარი დედოფალი წმინდა შუშანიკი სიკვდილ მიახლოებული არისო, წავიდა და თან წაიყვანა ცოლი და შვილები და თავისი მონა-მხევალნი. და მივიდა ციხეში სანატრელი მოწამე შუშანიკის |

| | |
|---|---|
| მარტჳლისა. და ვითარცა მიიწია, მძლავრ შე-ხოლო-ვიდა, და თაყუანის-სცა პატიოსანსა ჯუარსა და მოიკითხა წმიდაჲ შუშანიკ. თანადაუჯდა და ჰკითხვიდა სალმობათა მათთჳს. ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „კეთილ ვარ, ვითარ ღმერთსა უნებს, არამედ ყოველსა წარსავალსა მას გზასა მეცა წარვალ“. | სანახავად. და როდესაც მივიდა, ძალით შევიდა და თაყვანი სცა პატიოსან ჯვარს და მოიკითხა წმინდა შუშანიკი, გვერდით დაუჯდა და ეკითხებოდა სატკივარზე. ხოლო წმინდანმა მან უთხრა: ,,კარგად ვარ, როგორც ღმერთს სურს. ხოლო ყველას გასავლელ გზას მეც შევუდგები“. |
| ხოლო ჯოჯიკ მსწრაფლ აღდგა ზე და პირველთა მათ უწესოთა საქმეთა აღუვარებდა და ევედრებოდა წმიდასა შუშანიკს და ეტყოდა: „სძალო და მხევალო ქრისტესო, ითხოვე ღმრთისაგან, რაჲთა მომიტევენ მე მრავალნი შეცოდებანი ჩემნი“. ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მას: „თუ შენ სხუად სახედ, ყრმებრ, არარაჲ ჰქმნე, ღმერთმან მოგიტევნეს შენ“. და ჯოჯიკ ჰრქუა: „მაგის სახისათჳს მოვედ მე შენდა, რაჲთა, რომელი-იგი არა რაჲმე სათნო ეყოს ღმერთსა, არა ვქმნე“. წმიდამან შუშანიკ ჰრქუა: „უკუეთუ ეგრე ჰყო შენ, უკუდავ მექმნე მე მაგით სიტყჳთა და ღმერთმან შესძინენ დღეთა ცხოვრებისა შენისათა“. | ხოლო ჯოჯიკი სწრაფად ადგა ფეხზე და ინანიებდა ყველა უკეთურ საქმეს და ევედრებოდა წმინდა შუშანიკს და ეუბნებოდა:,,ქრისტეს  რძალო და მხევალო, ევედრე ღმერთს, რათა მომიტევოს მე  ჩემი ბევრი ცოდვა“.ხოლო წმინდა შუშანიკმა უთხრა მას:,,თუ შენ სხვანაირად, ახალგაზრდობით, არაფერი ჩაგიდენია, ღმერთმა მოგიტევოს შენ“. ჯოჯიკმა თქვა:  ,,მაგისთვის მოვედი შენთან, რომ, რაც ღვთის მოსაწონი არ იქნება, არ ვქნა“. წმინდა შუშანიკმა უთხრა:,,თუ ასე მოიქცევი, უკვდავი გამიხდები მაგ სიტყვებით და ღმერთმა შესძინოს დღეები შენს ცხოვრებას“. |
| და მერმე, ვითარ შეატყუა ჯოჯიკ, ვითარმედ მას დღესა განვალს წმიდაჲ იგი ჴორცთა ამათგან, ჰრქუა: „მაკურთხე მე და ცოლი ჩემი, მჴევალი შენი, და შვილნი ჩემნი და მონა-მჴევალნი ჩემნი. და თუ რაჲმე შეგცოდეთ, ვითარცა კაცთა საწუთროჲსათა და სოფლისმოყუარეთა, მოგჳტევენ და ნუ მოიჴსენებ მედგრობათა ჩუენთა“. ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ჯოჯიკს და ცოლსა მისსა: „ჰყავთ წარმდებად საქმე ესე ჩუენი, რამეთუ არავი იპოვა კაცთაგანი, რომელსამცა აქუნდა წყალობაჲ და ტკივილი ჩემთჳს, რომელმანცა შეაჯერა უღმრთოსა მას | და მერე, როგორც კი შეატყო ჯოჯიკმა, შუშანიკი რომ სიკვდილის პირას იყო, უთხრა: ,,გვაკურთხე მე და ჩემი ცოლი, მხევალი შენი, და ჩემი შვილები და მონა-მხევალნი, და თუ რამე  შეგცოდეთ, როგორც წუთისოფლის მოყვარე ადამიანებმა, მოგვიტევე და ნუ მოიხსენებ ჩვენს ცოდვებს“. ხოლო წმინდა შუშანიკმა უთხრა ჯოჯიკსა და მის ცოლს: ,,კადნიერებად ჰყავით ჩვენი ეს საქმე, რადგან არავინ მოიძებნა კაცთაგანი, რომელიც გაიზიარებდა ჩემს ტკივილს, რომელიც დაარწმუნებდა მას, ჩემს ამქვეყნიურ ურჯულო |

| | |
|---|---|
| საწუთროსა მეუღელსა“. ხოლო მათ ჰრქუეს: „ჩუენ თჳნიერ შენსა ფრიად დავშუერით, გარნა არა იყო სმენაჲ, არცა სიტყუაჲ“. | მეუღლეს“. ხოლო მათ უთხრეს:,,ჩვენ შენ გარეშე დიდად გავისარჯეთ, მაგრამ არც არაფერი გაიგონა, არც არაფერი შეისმინა“. |
| მაშინ ჰრქუა წმიდამან შუშანიკ: „განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, სადა-იგი არა არს თუალ-ღებაჲ წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაჲსა და მეუფისა მის მეუფეთაჲსა, სადა არა არს რჩევა მამაკაცისა და დედაკაცისა, სადა მე და მან სწორი სიტყუაჲ ვთქუათ წინაშე ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესა. მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოსთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭკნო და შუენიერებაჲ სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა. ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის. ხოლო მე აწ ამას ვჰმადლობ ღმერთსა, რამეთუ ტანჯვითა მისითა მე ლხინებაჲ ვპოვო და გუემათა და თრევათა მისთათჳს მე განსუენებასა მივემთხჳო და უგულისჴმოებისა და უწყალოებისა მისისათჳს მე წყალობასა მოველი იესუ ქრისტეს მიერ, უფლისა ჩემისა“. | მაშინ თქვა წმინდა შუშანიკმა: ,,განვისაჯებით მე და ვარსქენ პიტიახში იქ, სადაც არ არის მიკერძოება, მსაჯულთა მსაჯულისა და მეუფეთა მეუფის წინაშე, სადაც არ არის ქალისა და მამაკაცის გარჩევა, სადაც მე და ის თანასწორად ვიტყვით სიტყვას ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს წინაშე; მიუზღოს მას უფალმა სამაგიერო, რომ უდროოდ ნაყოფი ჩემი დაკრიფა და სანთელი ჩემი ჩააქრო და ყვავილი ჩემი დააჭკნო, მშვენიერება ჩემი სიკეთისა დააბნელა და დიდება ჩემი დაამდაბლა. და ღმერთი იყოს მსაჯული მე და მას შორის. ხოლო მე ახლა ღმერთს ვმადლობ, რადგან მისგან მოყენებული ტანჯვის გამო შვებას მოვიპოვებ, და ცემისა და თრევის სანაცვლოდ დავისვენებ, და მისი უგულობისა და შეუწყნარებლობის გამო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესგან წყალობას მოველი“. |
| ხოლო იგინი ამას ყოველსა ზედა სიტყუასა მისსა ტიროდეს მწარედ და ჰრქუეს: „მოგჳტევენ ბრალნი ჩუენნი და გუაკურთხენ, წმიდაო მოწამეო და მარტჳლო სანატრელო ქრისტეს ღმრთისაო“. ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა: „ღმერთმან მოგიტევენინ, რომელ-რაჲ-იგი ჰყავთ“. მაშინღა აკურთხნა ჯოჯიკ და ცოლი მისი და შვილნი მისნი და მონა-მჴევალნი მისნი, და ყოველი ეზოჲ და პალატი მისი. და ამცნებდა სლვად გზათა ღმრთისათა და ეტყოდა, ვითარმედ: „ესე | ხოლო ისინი ამ სიტყვებზე მწარედ ტიროდნენ და უთხრეს: ,,მოგვიტევე ჩვენი შეცოდებანი და გვაკურთხე, წმინდაო მოწამეო და მარტვილო სანატრელო ქრისტე ღმერთისაო“.ხოლო წმინდა შუშანიკმა თქვა:,,ღმერთმა მოგიტევოთ, რაც ჩაიდინეთ“.მაშინ აკურთხა ჯოჯიკი და ცოლი და მათი შვილები და მონა-მხევალნი და სახლ-კარი და ასწავლიდა, ღვთის გზით ევლოთ და ეუბნებოდა, რომ: ,,ეს ცხოვრება, როგორც მინდვრის ყვავილი, წარმავალია და |

| | |
|---|---|
| ყოველი ცხორებაჲ, ვითარცა ყუავილი ველთაჲ, წარმავალ არს და დაუდგრომელ და, ვინ სთესა, მოიმკო, და, ვინ განაბნია გლახაკთათჳს, შეიკრიბა, და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი, მან პოოს იგი, რომელმან ადიდა იგი“. და უჯმნა და გამოგზავნნა იგინი მშჳდობით. | ცვალებადი. ვინც დათესა, მოიმკო და ვინც გასცა გლახაკთათვის–დააგროვა და ვინც თავს დაილუპავს, იპოვის მას, ვინც მან ადიდა“.და გამოემშვიდობა და მშვიდობიანად გამოუშვა ისინი. |
| XVII თავი<br><br>მერმე შომდგომად ჯოჯიკისა, მოიწია თავი იგი ეპისკოპოსთაჲ სამოველ და იოანე ეპისკოპოსი, მისივე მოყუასი, რომელOიგი იყვნეს განმამტკიცებელ და დიდად დამაშურალ, სახლეულითურთ თანაყოფით იყვნეს, მონა და მონაწილე იყვნეს და თანაზიარ შრომათა მისთა, მადლობით წარჰგზავნიდეს ნავთსადგურისა მის მიმართ ქრისტესისა. მსგავსად მისვე სახისა აზნაურნი დიდ–დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს ეგრეთვე, რომელნი–იგი გულსმოდგინებით მონაწილე ყოფილ იყვნეს შრომათა მათ მისთა, სანატრელობით, ვითარცა ახოვანსა მჴნესა, მიჰვედრიდეს ქრისტესა. | XVII თავი<br><br>მერე, ჯოჯიკის შემდეგ, მოვიდა ეპისკოპოსთა თავი სამოელი და იოვანე ეპისკოპოსი, მისივე მოყვასი, რომლებიც ამხნევებდნენ და დიდად ზრუნავდნენ ოჯახის წევრებთან ერთად, თანაუგრძნობდნენ და იზიარებდნენ მის ღვაწლს; მადლიერებით აცილებდნენ სამუდამო სამყოფელში ქრისტესთან. მსგავსად მოვიდნენ დიდ–დიდნი აზნაურნი, დიდგვაროვანი ქალები, დიდებულნი და მდაბიონი ქართლის ქვეყნიდან. აგრეთვე ისინი, ვინც გულმოდგინებით მონაწილენი იყვნენ მისი შრომისა და ბედნიერებით, როგორც მხნე მებრძოლს, ქრისტეს ავედრებდნენ. |
| და თხოვასა ერთსა ითხოვდეს მისგან ყოველნი იგი ეპისკოპოსნი და აზნაურნი ერთბამად, რაჲთა ბორკილი იგი ფერჴთაჲ ბრძანოს საცოდ და ნაკურთხევად ყოველითათჳს, რომლისათჳსცა ჰრქუა წმიდამან შუშანიკ, ვითარმედ: „მე რაჲ ვარ, არაღირსი ესე? ხოლო ღმრთისმოყუარებისა თქუენისათჳს ხუცესმან აღავსენ წადილი თქუენი მაგის სახისათჳს. ხოლო მე რაჲმე–რაჲ შემძლებელ ვარ? არამედ ყოვლად სავსემან ქრისტემან აღგავსენინ თქუენ ყოვლითა კეთილითა, რომელნი–ესე ჩემთჳს მოშუერით და ეზიარენით ვნებათა ამათ | და ერთს ითხოვდნენ მისგან ერთხმად ეპისკოპოსნი და აზნაურნი, რომ ფეხთა ბორკილები გაეცა ყველასთვის დასაცავად და სალოცავად, რაზეც წმიდა შუშანიკმა უპასუხა: ,, მე რა ღირსი ვარ ამის? ხოლო, თქვენი ღვთისმოყვარებისათვის, ხუცესმა აგისრულოთ სურვილი თქვენი. მე რის შემძლებელი ვარ? ყოვლად სრულყოფილმა ქრისტემ აგავსოთ ყოველივე სიკეთით თქვენ, , რომლებიც ჩემთვის შეწუხდით და მონაწილე გახდით ჩემი წამებისა, ჭირისა და ტანჯვისა. ხოლო მე, საყვარელნო, აი, ჩემთვის წინასწარ |

| | |
|---|---|
| ჩემთა და ჭირთა და ტანჯვათა. ხოლო მე, საყუარელნო, აჰა, ესერა, წინაგანმზადებულსა მას ჩემსა გზასა წარვალ საუკუნესა. ჭირისა ამის წილ ჩემისა ქრისტემან მომმადლოს მე სიხარული, სატანჯველთა ამათ წილ – განსუენებაჲ; გუემათა ამათ ჩემთა და თრევათა და შეურაცხებათა – მივემთხჳო მე დიდებასა და პატივსა ცათა შინა დაუსრულებელსა“. | გამზადებულ საუკუნო გზას შევუდგები. ჩემი ჭირის სანაცვლოდ ქრისტემ მომმადლოს სიხარული, სატანჯველთა წილ – განსვენება, ტანჯვა–თრევათა და შეურაცხყოფის სანაცვლოდ, მივეახლები მე დაუსრულებელ დიდებასა და პატივს ცათა შინა“. |
| და იგინი, ჯნმულნი, ცრემლითა სავსენი, ძლევისა მისთჳს დიდებასა ღმრთისა მიმართ შესწირვიდეს. და გამოვიდეს ციხით და წარვიდეს. | და ისინი, განშორებულნი, ცრემლით სავსენი, გამარჯვების გამო ღმერთს ადიდებდნენ და გამოვიდნენ ციხიდან და წავიდნენ. |

| | |
|---|---|
| XVIII თავი | XVIII თავი |
| და მოიწია დღე იგი წოდებისა მისისაჲ და მოუწოდა ეპისკოპოსსა მისისა სახლისასა აფოცს და მადლსა მისცემდა მისა მიმართ მოწლეობისა მისისათჳს. ვითარცა მამასა და მამამძუძესა, შემვედრა მე, კაცი ცოდვილი და გლახაკი ესე. და შეჰვედრებდა ნეშტთა მათ ძუალთა მისთასა და უბრძანებდა დასხმად ადგილსა მას, ვინაჲცა–იგი პირველად გამოითრიეს და ეტყოდა: „უკუეთუ ღირს რაჲმე ვარ უკუანაჲსკნელი ესე მეათერთმეტე მოქმედი ვენაჴისაჲ, იყვენით ყოველნი კურთხეულ უკუნისამდე ჟამთა“. | მოახლოვდა მისი გარდაცვალების დღე და უხმო სასახლის ეპისკოპოსს აფოცს და მადლობას უხდიდა გაწეული სიკეთის გამო, და მე, კაცი ცოდვილი და გლახაკი, შემავედრა, როგორც მამასა და აღმზრდელს, ავედრებდა თავისი ნეშტის ძვლებს და უბრძანებდა, იქ დაემარხათ, საიდანაც პირველად გამოათრიეს და ეუბნებოდა:,,თუ ღირსი ვარ უკანასკნელი, მეთერთმეტე მუშაკი ვენახისა, იყავით ყველანი კურთხეულნი საუკუნოდ“. |
| და ჰმადლობდა ღმერთსა და თქუა: „კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ მშჳდობით მასა ზედა დავწევ და დავიძინე“. და შეჰვედრა სული თჳსი უფალსა ყოველთა შემწყნარებელსა. | და ღმერთს მადლობას სწირავდა და თქვა: ,,კურთხეულია უფალი, ღმერთი ჩემი, რადგან მშვიდად დავწვები და დავიძინებ“. და თავისი სული შეავედრა ყველას შემწყნარებელ უფალს. |
| XIX თავი | XIX თავი |

| | |
|---|---|
| და მაშინღა ადრე–ადრე მოიღო სანატრელმან მან ეპისკოპოსმან იოვანე შესაგრაგნელად მჩუარი წმიდაჲ წმიდათა მათ და პატიოსანთა ნაწილთა მისთა. და ეგრეთ სხუათა მათ აღვიღეთ გუამი იგი ფრიად დამაშურალი და დაჭმული მატლთაგან, და განბანეთ იგი მატლისა მისგან მიწოვანისა და თხრამლისაგან, და შევჭმოსეთ მჩურითა მით.<br><br>და მაშინღა ეპისკოპოსთა მათ ორთავე, იოვაენ და აფოც, ვითარცა ჯართა მჴნეთა დაუღლვილითა სულიერითა და კეროვნითა აღნთებულითა საკუმეველითა სულნელითა აღვიხუენით პატიოსანნი ძუალნი და გამოვიხუენით წმიდასა მას ეკლესიასა. და დავჰკრძალენით წმიდანი იგი და დიდებულნი და პატივცემულნი ნაწილნი წმიდისა შუშანიკისნი განმზადებულსა მას ადგილსა. და მას ღამესა ანგელოზთა სახედ ღამე იგი გავათიეთ და დავითის ქნარითა მით ყოვლადძლიერსა ღმერთსა და ძესა მისსა, უფალსა ჩუენსა, იესუ ქრისტესა, ვადიდებდით, რომელი ყოვლითა ყოველთა მიმართ შემძლებელ არს და განაქველნის მამანიცა და დედანიცა, და თჳსთა მათ თჳსი იგი ძლიერებისა ძლევაჲ მიჰმადლის ყოველთა. რომელნი ეძიებენ მას ერთითა გულითა. | და მაშინ სასწრაფოდ მოიტანა სანატრელმა ეპისკოპოსმა იოანემ წმინდა სუდარა დედოფლის წმიდათწმიდა და პატიოსანი ნაწილების შესახვევად. და ასე, სხვებთან ერთად ავიღეთ გვამი, ძალიან დაქანცული და მატლებისგან დაჭმული, და განვბანეთ მიწიერი მატლისა და ჩირქისაგან და შევახვიეთ სუდარაში.<br><br>და მაშინ ორივე ეპისკოპოსმა, იოვანემ და აფოცმა, როგორც დაუღალავმა ზეციურმა ხარებმა, იქ მყოფებთან ერთად, ფსალმუნებით, ანთებული სანთლებით, სურნელოვანი საკმეველის კმევით გამოვიტანეთ მისი პატიოსანი ძვლები, გამოვასვენეთ წმინდა ეკლესიიდან და დავკრძალეთ წმინდა, დიდებული და პატივცემული ნაწილები წმინდა შუშანიკისა , გამზადებულ ადგილას. იმ ღამეს ანგელოზების მსგავსად, ღამე ფსალმუნების გალობით გავათენეთ, ვადიდებდით ყოვლადძლიერ ღმერთსა და მის ძეს – უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს, რომელიც ყოვლისშემძლეა, გააძლიერებს კაცებსაც და ქალებსაც და ყველას ანიჭებს თავის ძლიერებას, რომლებიც ეძიებენ მას წრფელი გულით . |
| XX თავი<br><br>და არს დასაბამი ტანჯვათა მათ წმიდისა შუშანიკისთაჲ თუესა აპნისისასა, მერვესა თჳსასა, და დღესა ოთხშაბათსა; და მეორედ გუემაჲ მისი – შემდგომად აღუსებისა ზატიკსა დღესა ორშაბათსა, და კუალად ტანჯვაჲ ვარდობისა თუესა ათცხრამეტსა და აღსრულებაჲ მისი – თუესა იკდონბერსა | XX თავი<br><br>წმიდა შუშანიკის ტანჯვის დასაწყისი არის იანვრის თვის 8 რიცხვი, ოთხშაბათი დღე. მეორედ წამება აღდგომის დღესასწაულის მერე, ორშაბათ დღეს და კვლავ წამება მაისის თვის ცხრამეტში. და სიკვდილი მისი ჩვიდმეტ ოქტომბერს, წმინდა და სანატრელი |

| | |
|---|---|
| ათჩჳდმეტსა, საჴსენებელსა წმიდათა მათ და სანატრელთა მოწამეთა კოზმან და დამიანეთა.<br><br>და დღე ხუთშაბათი იყო, რომელსა განვაწესეთ საჴსენებელი წმიდისა შუშანიკისი სადიდებელად და საქებელად ღმრთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, რომელსა შუენის დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ. | მოწამეების – კოზმან და დამიანეს ხსენების დღეს.<br><br>და დღე იყო ხუთშაბათი, რომელიც დავაწესეთ წმინდა შუშანიკის ხსენების დღედ, სადიდებლად და საქებრად ღმრთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ვისაც შვენის დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ. |

მათე შულაია

ქ. ხობის N2 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე

გიორგი ძიგოშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე

ანა ულრელიძე

ქობულეთის N2 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე

ლუკა გოგია

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი ხიბულის N1 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე.